



დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი

## საქართველო

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები  
2008 წლის 5 იანვარი

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის  
უფლებათა ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის  
დასკვნითი ანგარიში



ვარშავა  
2008 წლის 4 მარტი

# სარჩევი

I.	მოკლე შინაარსი .....	1
II.	შესავალი და სამადლობელი სიტყვა.....	4
III.	პოლიტიკური ფონი .....	5
IV.	საკანონმდებლო ბაზა და საარჩევნო სისტემა .....	6
V.	საარჩევნო ადმინისტრაცია.....	8
ა.	ცენტრალური საარჩევნო კომისია .....	8
ბ.	საოლქო საარჩევნო კომისიები.....	10
გ.	საუბნო საარჩევნო კომისიები .....	11
VI.	ამომრჩეველთა რეგისტრაცია .....	11
VII.	კანდიდატთა რეგისტრაცია.....	13
VIII.	საარჩევნო კამპანია.....	14
IX.	მედია .....	19
ა.	ზოგადი ფონი.....	19
ბ.	მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა .....	20
გ.	სატელევიზიო დებატები და „თოქ-შოუები“.....	20
დ.	ტელეკომპანია „იმედი“.....	21
ე.	OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგი .....	22
X.	ქალთა მონაწილეობა.....	24
XI.	ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა .....	25
XII.	ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები.....	26
XIII.	საჩივრები და განცხადებები .....	27
XIV.	ხმის მიცემა და ხმების დათვლა .....	30
ა.	უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცედურები.....	31
ბ.	ხმების დათვლის პროცედურები .....	33
XV.	ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება .....	34
XVI.	არჩევნების დღის შემდგომი საჩივრები და განცხადებები.....	37
XVII.	რეკომენდაციები.....	39
ა.	სამართლებრივი ბაზა.....	39
ბ.	საარჩევნო ადმინისტრაცია.....	39
გ.	ამომრჩეველთა რეგისტრაცია .....	40
დ.	საარჩევნო კამპანია.....	40
ე.	მედია .....	41
ვ.	ხმის მიცემა, ხმების დათვლა და შედეგების გამოცხადება .....	42
ზ.	საჩივრები და განცხადებები.....	43
თ.	ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა .....	45
ი.	ადგილობრივი დამკვირვებლები.....	45
დანართი:	არჩევნების ოფიციალური შედეგები .....	46
ინფორმაცია	OSCE/ODIHR-ის შესახებ .....	48

**საქართველო**  
**რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები**  
**2008 წლის 5 იანვარი**

**ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის**  
**არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დასკვნითი ანგარიში**

**I. მოკლე შინაარსი**

2007 წლის 6 დეკემბერს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად 41 ექსპერტისა და გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შემდგარი არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია (EOM) მოავლინა. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა საარჩევნო პროცესების შესაბამისობა ეუთო-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, ისევე როგორც ადგილობრივ კანონმდებლობასთან. არჩევნების დღეს OSCE/ODIHR-ი მონიტორინგს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა (PACE) და ევროპარლამენტის (EP) სადამკვირვებლო დელეგაციებთან ერთად აწარმოებდა, რაც ერთად არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას (IEOM) ქმნიდა.

თავის 6 იანვრის მოხსენებაში წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ, არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ განაცხადა, რომ თუმცა არჩევნები არსებითად შეესაბამებოდა ეუთო-სა და ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებს, მან ასევე გამოავლინა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას. მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები იყო პირველი ნამდვილად კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო არჩევნები, რაც კი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩატარებულა, აღინიშნა ნაკლოვანებებიც. საარჩევნო კამპანია ფართოდ გავრცელებულმა დაშინებისა და ზეწოლის პრეტენზიებმა გადაფარა, რაც ასევე საჯარო მოხელეებსა და ოპოზიციის აქტივისტებზეც ვრცელდებოდა. ზოგიერთი მათგანი OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამაც დაადასტურა. განსხვავება სახელმწიფო ღონისძიებებსა და მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის, მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიას შორის ბუნდოვანი იყო. ამასთანავე, როგორც OSCE/ODIHR-ის 18 იანვრის არჩევნების დღის შემდგომ შუალედურ ანგარიშში აღინიშნა, საარჩევნო პროცესის სხვა ასპექტები, განსაკუთრებით კი, ხმების დათვლა და შეჯამება, ასევე არჩევნების შემდგომ შემოსული საჩივრებისა და განცხადებების განხილვის პროცესი, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ეუთო-ს წინაშე ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულების შესრულებას.

არჩევნების ადმინისტრირებას სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია უწევდა, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან (ცესკო), 76 საოლქო

საარჩევნო კომისიისა და 3,511 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. საქართველოს საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შემდეგ ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიებში შედიოდნენ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები, საოლქო საარჩევნო კომისიები კი, პარტიული წარმომადგენლობის გარეშე დარჩნენ.

ცესკოს დაკომპლექტების ახალმა ფორმულამ ფართო წარმომადგენლობა განაპირობა, თუმცა ბევრი გადაწყვეტილება პოლიტიკური მიკუთვნებულობიდან გამომდინარე მიიღებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების როლი საერთო ჯამში შესუსტდა, განსაკუთრებით კი, არჩევნების დღის პროცედურებთან მიმართებით, რეალურად საოლქო საარჩევნო კომისიები აქტიურები იყვნენ, ხანდახან ისინი მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებასაც კი ამტკებდნენ. საუბნო საარჩევნო კომისიებში ოპოზიციური პარტიები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი წამყვან პოზიციებზე, მმართველ პარტიას კი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - დე ფაქტო უმრავლესობა ეკავა.

ცესკომ საარჩევნო სიის გაუმჯობესების მიზნით დიდი ძალისხმევა გაიღო, რაც მოიცავდა ამომრჩეველთა კარდაკარ გადამოწმებას, რაც 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განხორციელდა და ახალი კომპიუტერული პროგრამის დანერგვას. მიუხედავად ამისა, მიჩნეული და რეალური უზუსტობები ამომრჩეველთა სიაში კვლავ დიდ შემოფოთებას იწვევდა. არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაცია ამ არჩევნებზე ხელახლა იქნა შემოღებული. დამატებით სიაში დაახლოებით 85,000 ამომრჩეველი შევიდა, რომელთა ბიულეტენების დათვლა სპეციალური პროცედურით წარმოებდა.

საერთო ჯამში, საარჩევნო კოდექსი წარმოადგენს ადეკვატურ ბაზას დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს შეტანილმა ცვლილებებმა კანონის გაუმჯობესება განაპირობა, მათი მიღება არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე განხორციელდა, რაც კარგ საარჩევნო პრაქტიკას არ შეესაბამება. უფრო მეტიც, მთელ საარჩევნო კოდექსში არსებული შეუთავსებლობები, ხარვეზები და ორაზროვანი ადგილები კვლავ იძლევა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას.

კანდიდატთა რეგისტრაცია ზოგადად ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე იყო, ცესკომ საბოლოოდ შვიდი კანდიდატი გაატარა რეგისტრაციაში. რეგისტრირებულ კანდიდატთა შორის მხოლოდ ერთი ქალი იყო. პოტენციურ კანდიდატებს მიეცათ ორი დღე იმისათვის, რომ გაესწორებიათ შეცდომები თავიანთ სარეგისტრაციო დოკუმენტებში და, საჭიროების შემთხვევაში, მხარდამჭერთა დამატებითი ხელმოწერები წარედგინათ.

საარჩევნო კამპანია მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში წარიმართა და თბილისში 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციის დარბევისა და საგანგებო მდგომარეობის დროებითი შემოღებიდან მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყო. საერთო ჯამში, პოლარიზაციამ, უნდობლობამ, პრეტენზიებმა დარღვევების

არსებობის თაობაზე და არჩევნების შემდეგ დემონტრაციების გამართვით სპეკულირებამ არ შეუწყო ხელი კონსტრუქციული, თემებზე დაფუძნებული საარჩევნო კამპანიის წარმოებას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა კანდიდატს შეეძლო თავისუფლად ეწარმოებინა კამპანია ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ ოთხი კანდიდატი მოიქცა ამგვარად. დამინც, ხელისუფლების მიერ სოციალური ვაუჩერების დარიგება ბატონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიას ემთხვეოდა, რაც არათანაბარი საარჩევნო გარემოს არსებობასთან დაკავშირებით შემფოთებას იწვევდა. საკამათო საკითხი სახელმწიფო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაამწვავა იმ ნორმის არარსებობამ, რომელიც კანდიდატებს ავალდებულებს არჩევნებამდე წარადგინონ ანგარიში კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

საარჩევნო კოდექსი უზუნველყოფს უფასო და ფასიანი საეთერო დროისა და სივრცის გამოყოფას საზოგადოებრივ და კერძო მედიაში, რაც საარჩევნო სუბიექტებისთვის მედიის ხელმისაწვდომობას განაპირობებს. თუმცა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფი მნიშვნელოვნად აღემატებოდა კომერციული რეკლამის ტარიფს, რის გამოც იგი კანდიდატთა უმეტესობისთვის არ იყო ხელმისაწვდომი. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩათვლით, ყველა ის ტელეკომპანია, რომელიც საარჩევნო კამპანიას აშუქებდა, არ იცავდა ბალანსს. მათ ეთერში მმართველი პარტიის კანდიდატი, ჩვეულებისამებრ, ყველაზე ხშირად შუქდებოდა. ტელეკომპანია „იმედმა“, ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა კერძო მაუწყებელმა, რომელიც ოპოზიციის მხარდამჭერად მიიჩნეოდა, ნოემბრის მოვლენების შემდეგ მაუწყებლობა შეწყვიტა და ეთერში მხოლოდ 12 დეკემბერს გავიდა. ორი კვირის შემდეგ ტელეკომპანიამ კვლავ შეწყვიტა მაუწყებლობა იმ მიზეზით, რომ მასზე ხორციელდებოდა ზეწოლა როგორც ხელისუფლების, ისე მისი თანამესაკუთრისა და საპრეზიდენტო კანდიდატის ბატონი არკადი პატარკაციშვილის მხრიდან, რომელიც ხელისუფლებამ არჩევნების შემდეგ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა. გაზეთებში აზრთა მრავალფეროვნება იყო, ბატონი მიხეილ სააკაშვილი ყველაზე მეტად გაკრიტიკებული კანდიდატი იყო.

არჩევნების დღე ზოგადად მშვიდობიანი იყო. საერთო ჯამში, ხმის მიცემის პროცესი არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა დიდი ნაწილის მიერ დადებითად შეფასდა, თუმცა უბანთა მნიშვნელოვან ნაწილში იგი ხანდახან დეზორგანიზებული და ქაოსური იყო. დაფიქსირდა ორგანიზაციული და პროცედურული ნაკლოვანებები, რაც განსაკუთრებით მარკირების, ორმაგი ხმის მიცემის გამორიცხვის საშუალების, პროცედურის არასისტემატურ გამოყენებას შეეხებოდა. დამკვირვებლებმა ასევე აღნიშნეს სერიოზულ დარღვევათა გარკვეული რაოდენობა, რაც ასევე საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრასაც მოიცავდა.

ხმათა დათვლა და შეჯამება ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა. ბევრ საუბნო საარჩევნო კომისიას შეექმნა პრობლემა შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებასთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილას

ხშირად არ გამოიკვრებოდა. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ასახელებდნენ შემთხვევებს, როდესაც ხდებოდა საარჩევნო სიების, შედეგებისა და ოქმების შეცვლა. შეჯამების პროცესი საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე ნელი და ხშირად ქაოსური იყო. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის მიწოდებული ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები განსხვავდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიწოდებული ოქმებისგან. ამასთანავე, ბევრი საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები იყო არასრული ან შეუსაბამო. საუბნო საარჩევნო კომისიების დიდი რაოდენობა აფიქსირებდა უჩვეულოდ დიდ აქტივობას ხმის მიცემის ბოლო სამი საათის განმავლობაში. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ქვეყნის საერთო მაჩვენებელზე გაცილებით დიდი აქტივობა დააფიქსირა.

წინასაარჩევნო პერიოდში ოფიციალურ საჩივართა მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა შევიდა, თითქმის ყველა მათგანი მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატის წინააღმდეგ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად სასამართლოები საჯარო განხილვებს პროფესიონალურ და სრულყოფილ დონეზე ატარებდნენ, ზოგიერთი საჩივარი, რეალური სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, დაუშვებლად იქნა გამოცხადებული. ზოგიერთ განაჩენში ასევე არ იყო მოცემული სათანადო დასაბუთება. ამასთანავე, ცესკო და სასამართლოები ყოველგვარი საფუძვლიანი ინტეგრეტაციის გარეშე, ცდილობდნენ მოერგოთ კანონი მმართველი პარტიის კანდიდატისა და საჯარო მოხელეების სასარგებლოდ.

არჩევნების შემდეგ საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა სრულყოფილად და ჯეროვნად არ განიხილეს და არ გამოიძიეს საჩივართა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც დარღვევებს შეეხებოდა, ზოგიერთი მათგანი სერიოზული ხასიათისაც იყო. საჩივართა დიდი რაოდენობა დაუშვებლად გამოცხადდა ან არ იქნა მიღებული ტექნიკური მიზეზის გამო.

## II. შესავალი და სამადლობელი სიტყვა

2007 წლის 6 დეკემბერს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (OSCE/ODIHR), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე, 2008 წლის 5 იანვრის რიგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია მოავლინა. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობდა ელჩი დიტერ ბოდენი. მისია ეუთო-ს 25 წევრი ქვეყნის 41 ექსპერტისა და გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგებოდა, რომლებიც თბილისსა და ათ რეგიონალურ ცენტრში იყვნენ განთავსებული.

არჩევნების დღეს OSCE/ODIHR-ი მონიტორინგს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან და ევროპარლამენტის სადამკვირვებლო დელეგაციებთან ერთად აწარმოებდა, რაც ერთად არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას ქმნიდა. კონგრესმენი ალსი ჰასტინგსი,

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტი და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის ხელმძღვანელი, ეუთო-ს თავმჯდომარის მიერ დაინიშნა როგორც სპეციალური კოორდინატორი - მოკლევადიან დამკვირვებელთა ხელმძღვანელი. ბატონი მათიას იორში ხელმძღვანელობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას, ქალბატონი მარი ანე ისლერ ბეგუინი კი - ევროპარლამენტის დელეგაციას.

არჩევნების დღეს არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ ეუთო-ს წევრი 44 სახელმწიფოდან<sup>1</sup> 495 დამკვირვებელი განათავსა, რომლებიც დააკვირდნენ 175 საარჩევნო უბნის გახსნას, 3,511 საარჩევნო უბნიდან დაახლოებით 1,770 უბანზე ხმის მიცემას და 180 საარჩევნო უბანზე ხმების დათვლას. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ასევე დააკვირდა საქმის განხილვებს საოლქო საარჩევნო კომისიების უმეტესობაში.

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ საარჩევნო პროცესის შესაბამისობა ეუთო-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე ადგილობრივ კანონმდებლობასთან მიმართებით შეაფასა. დასკვნითი ანგარიში მოსდევს წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ მოხსენებას, რომელიც 2008 წლის 6 იანვრის პრესკონფერენციაზე გაცხადდა; და არჩევნების შემდგომ შუალედურ ანგარიშს, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2008 წლის 6-18 იანვარს. აღნიშნული დოკუმენტები, ისევე როგორც ყველა ის ანგარიში, რომლებიც 1999 წლიდან მოყოლებული OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიების მიერ იქნა გამოქვეყნებული, ხელმისაწვდომია OSCE/ODIHR-ის ვებ-გვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია მადლობას უხდის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხელისუფლებას, პოლიტიკურ პარტიებსა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას თანამშრომლობისთვის. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ასევე სურს, მადლობა გადაუხადოს ეუთო-ს მისიას საქართველოში, ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში მისიის მუშაობის განმავლობაში გაწეული დახმარებისთვის.

### III. პოლიტიკური ფონი

7 ნოემბერს ახლად შექმნილი ოპოზიციური პარტიების ბლოკის მიერ გამართული ექვსდღიანი დემონსტრაციები პოლიციის მიერ დარბევით დასრულდა. დემონსტრანტები, მათ შორის, მოითხოვდნენ 2008 წლის შემოდგომისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას 2008 წლის გაზაფხულზე, ასევე საკონსტიტუციო ცვლილებებს საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად

<sup>1</sup> არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის მთლიანი რაოდენობიდან 320 მოკლევადიანი დამკვირვებელი ეუთო-ს წევრმა 33-მა სახელმწიფომ ეუთო-ში მიავილია.

გარდაქმნასთან დაკავშირებით და მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. იმავე დღეს საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ დემონსტრაციები ხელისუფლების დამხობის მცდელობის ნაწილი იყო, შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, რომელიც 16 ნოემბერს გაუქმდა.

8 იანვარს მაშინდელმა პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება საკუთარი საპრეზიდენტო ვადის შემცირების თაობაზე, რასაც შემდეგ 25 ნოემბერს მისი თანამდებობიდან გადადგომა მოჰყვა და პარლამენტს 2008 წლის 5 იანვრისათვის რიგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის საშუალება მისცა. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი გახდა.

პოლიტიკური დიალოგის შედეგად ხელისუფლება არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის თაობაზე და მომდევნო საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვადის განსასაზღვრად პრეზიდენტის მიერ დანიშნული პლებისციტის ჩატარებასთან დაკავშირებით დათმობებზე წავიდა. პლებისციტი არჩევნებთან ერთად ჩატარდა. ასევე ჩატარდა მეორე პლებისციტი, რომელიც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას შეეხებოდა.

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც 2004 წლის იანვარში ჩატარდა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ხმათა 96 პროცენტით გაიმარჯვა. საარჩევნო მართონი საგრძნობლად არაკონკურენტუნარიანი იყო, რადგან მასში ძირითადი ოპოზიციური ფიგურები არ მონაწილეობდნენ. 5 იანვრის არჩევნები იმით არის აღსანიშნავი, რომ იგი იყო პირველი ნამდვილად კონკურენტუნარიანი საპრეზიდენტო არჩევნები, რაც კი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩატარებულა. 2006 წლის ოქტომბრის მუნიციპალურმა არჩევნებმა ხმათა უმეტესობა მმართველ პოლიტიკურ პარტიას (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) მოუტანა.

#### IV. საკანონმდებლო ბაზა და საარჩევნო სისტემა

1995 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად არის აუცილებელი. საქართველოს საარჩევნო კოდექსი, რომელიც 2001 წელს იქნა მიღებული და მას შემდეგ არაერთხელ შესწორდა, არის ძირითადი კანონი, რომელიც არჩევნებს არეგულირებს. საერთო ჯამში, საარჩევნო კოდექსი წარმოადგენს ადეკვატურ ბაზას დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. სხვა სათანადო კანონებს შეადგენს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ (1997წ.), ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (2000წ.), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (2000წ.), სისხლის სამართლის კოდექსი (2000წ.) და საარჩევნო ადმინისტრაციის განკარგულებები და ბრძანებები.

არჩევნების დანიშნიდან ცოტა ხნის შემდეგ მმართველი პარტია, ოპოზიციის მოთხოვნების საპასუხოდ, არჩევნების მნიშვნელოვან ასპექტებთან დაკავშირებით

საქართველოს საარჩევნო კოდექსში მთელი რიგი ცვლილებების შეტანის თაობაზე საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე შევიდა. ზოგიერთი მათგანი კი, არჩევნების დანიშვნის შემდეგ.<sup>2</sup> მაშინ, როდესაც ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით გამოთქვა კმაყოფილება, სხვები შეშფოთებას მათი არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, სწრაფი წესით მიღებასთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ. წუხილი ასევე დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ პროცესი არ იყო სათანადოდ ყოვლისმომცველი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა ზოგადად ხელი შეუწყო კანონის დახვეწას და ითვალისწინებდა ბევრ რეკომენდაციას, რომლებიც საარჩევნო კოდექსთან მიმართებით OSCE/ODIHR-სა და ვენეციის კომისიის 2006 წლის ერთობლივ დასკვნაში<sup>3</sup>, ასევე OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ადრეულ ანგარიშებში არის მოცემული, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა არჩევნებამდე ასე ახლოს არ შეესაბამება არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე კარგ პრაქტიკას<sup>4</sup>. ამასთანავე, მთელ საარჩევნო კოდექსში კვლავ რჩება შეუსაბამობები, ხარვეზები და ორაზროვანი ადგილები, რაც განაპირობებს გაურკვევლობას და საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ არაერთგვაროვანი სამართლებრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

საქართველოს პრეზიდენტი მაჟორიტარული სისტემით 5 წლის ვადით ირჩევა. იმისათვის, რომ კანდიდატი პირველ ტურში იქნეს არჩეული აუცილებელია ხმათა აბსოლუტური უმრავლესობის მიღება. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოიპოვებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ტარდება მეორე ტური პირველი ტურიდან ორი კვირის თავზე პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის<sup>5</sup>. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და უკანასკნელი ორი წელი საქართველოში იმყოფება. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში იმყოფებიან.

<sup>2</sup> აღნიშნული ცვლილებები ძალაში 2007 წლის 22 ნოემბერსა და 7 დეკემბერს შევიდა.

<sup>3</sup> OSCE/ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი დასკვნა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით იხ. [http://www.osce.org/documents/odihhr/2006/12/22781\\_en.pdf](http://www.osce.org/documents/odihhr/2006/12/22781_en.pdf).

<sup>4</sup> იხ. რეკომენდაცია, რომელიც მოცემულია ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე კარგი პრაქტიკის კოდექსის II.2."ზ" ნაწილში ([www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD\(2002\)023-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2002/CDL-AD(2002)023-e.pdf))

<sup>5</sup> ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ აუცილებელია არჩევნების მეორე ტურში ამომრჩეველთა ერთმა მესამედმა მიიღოს მონაწილეობა, რათა საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალოს.

საარჩევნო კოდექსის 89-ე მუხლი კონკრეტულად შეეხება რიგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხს და განსაზღვრავს, რომ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პარლამენტი ნიშნავს რიგარეშე არჩევნებს არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა.

## V. საარჩევნო ადმინისტრაცია

2008 წლის 5 იანვრის არჩევნების ადმინისტრირებას სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებდა, რომელშიც შედიოდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,511 საუბნო საარჩევნო კომისია.<sup>6</sup> საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შედეგად შეიცვალა ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა, რომელშიდაც უკვე შედიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული წევრები<sup>7</sup>. 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შვიდი პოლიტიკური პარტია აკმაყოფილებდა იმ კრიტერიუმებს, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ცესკოსა და საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე ყოფილიყვნენ წარმოდგენილი<sup>8</sup>. თითოეულ პარტიას თუ საინიციატივო ჯგუფს, რომლებმაც საპრეზიდენტო კანდიდატი დაასახელეს, ყველა საარჩევნო კომისიაში ორი რწმუნებულის დანიშვნის უფლება ჰქონდათ.

### ა. ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცესკო არის მუდმივმოქმედი ორგანო, რომლის ვადაც 5 წლით განისაზღვრება. იგი შედგება თავმჯდომარისა და 12 წევრისგან. თავმჯდომარეს და ხუთ წევრს წარადგენს პრეზიდენტი და ირჩევს პარლამენტი, შვიდ წევრს კი, ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები. ვინაიდან ცესკოს შემადგენლობის ახალმა ფორმულამ შედეგად მოცულობითი პოლიტიკური ჩართულობა მოიტანა, კომისიის წევრები ხშირად არ იცავდნენ ნეიტრალიტეტს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციას მოეთხოვება, და ბევრ გადაწყვეტილებას მხარის პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე და არა კანონის გონივრულ ინტეგრეტაციაზე დაყრდნობით უჭერდნენ.

არჩევნებისთვის მზადების პროცესში ცესკომ სხდომები ხშირად გამართა, რომლებიც ღია იყო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის, მედიისა და დამკვირვებლებისთვის. თუმცა ის პირობები, რა პირობებშიდაც ცესკოს სხდომები

<sup>6</sup> აქედან 73 იყო სპეციალური საარჩევნო უბანი, რომლებიც სამხედრო ბაზებში, საავადმყოფოებსა და წინასწარი პატიმრობის ცენტრებში გაიხსნა. უფრო მეტიც, ქვეყნის საზღვრებს გარეთ 44 საარჩევნო უბანი გაიხსნა.

<sup>7</sup> ისეთი პარტიები, რომლებიც ახლანდელ პარლამენტში ფრაქციებით არიან წარმოდგენილი, ან წინა საპარლამენტო არჩევნებზე ხმათა 4 პროცენტი მიიღეს.

<sup>8</sup> ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ახალი მემარჯვენეები, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ლეიბორისტები, პარტია თავისუფლება, რესპუბლიკელები და კონსერვატორული პარტია.

ტარდებოდა, ყოველთვის არ იყო ხელსაყრელი დაკვირვებისთვის. მის წევრთა მიერ ხმის მიცემის შედეგები ყოველთვის არ ცხადდებოდა, ხანდახან გაუგებარიც იყო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა თუ არა. კომისიას საქმიანობაში დახმარებას უწევდა პერსონალი რვა ადმინისტრაციული დეპარტამენტიდან. არ იყო კოორდინაცია ცესკოს სხვადასხვა განყოფილებებს შორის, მათი უფლება-მოვალეობები ხანდახან გაუგებარიც კი იყო.

ცესკომ მოაწყო ტრენინგები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიხედვით, ინსტრუქტორების მომზადების დონე და ჩატარებული ტრენინგების ხარისხი სხვადასხვაგვარი იყო, ამასთან, ტრენინგებზე დასწრების დონე ხშირად დაბალი იყო. ცესკოს თავდაპირველი ინსტრუქციები არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით არ იყო ყოვლისმომცველი და სათანადო დონეზე არ შეიცავდა იმ საკითხებს, რომლებიც საარჩევნო კოდექსში არ არის მოცემული. არჩევნებამდე ათი დღით ადრე არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით შეიქმნა საუბნო საარჩევნო კომისიის სახელმძღვანელო. მიუხედავად იმისა, რომ იგი დეტალურად მოიცავდა ხმის მიცემისა და ხმების დათვლის ყველა ეტაპს, იგი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგი თითქმის დასრულებული იყო. ამ გარემოებამ იგი ნაკლებად გამოსადეგი გახადა.

ისე, როგორც ეს 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს მოხდა, რამდენიმე ათასი საარჩევნო უბანი ორი ვიდეოკამერით იყო აღჭურვილი, ორივე მათგანი არჩევნების დღის პროცედურებს იწერდა. იმისათვის, რომ გაეფანტათ საზოგადო შემოფოტება იმასთან დაკავშირებით, რომ კამერების არსებობამ, შესაძლოა, ხელყოს ხმის მიცემის ფარულობა, ცესკომ დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რათა საზოგადოებისთვის აეხსნა მათი დანიშნულება და როლი უკანონო ქმედებათა აღკვეთისა და/ან დამრღვევთათვის სანქციის დაკისრების საქმეში. თუმცა, არჩევნების შემგედ შესული საჩივრების განხილვისას არ მომხდარა ამ კამერათა ჩანაწერების ნახვა, რადგან არ არსებობდა ნათელი და დეტალური ინსტრუქციები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ და რა შემთხვევაში იყო შესაძლებელი ჩანაწერების გამოყენება.

ცესკომ ეროვნული მედიის საშუალებით ასევე ჩაატარა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანია ისეთ საკითხებზე, როგორცაა საარჩევნო სიები, ხმის მიცემის ფარულობა, მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაყალბება და ერთი და იმავე პირის მიერ ხმის მრავალჯერადი მიცემა. არჩევნებამდე ათი დღით ადრე ცესკომ დაამზადა ეტიკეტები (ე.წ. სტიკერები) წარწერით „სად იქნები 5 იანვარს?“, სადაც ციფრი „5“ ჩასმული იყო წითელ რგოლში, რაც ვიზუალურად ბატონი სააკაშვილის საარჩევნო მასალას წააგავდა<sup>9</sup>. ასეთი ეტიკეტები ფართოდ დარიგდა ახალგაზრდა ამომრჩევლებში და თვალმისაცემი იყო საარჩევნო უბნებში არჩევნების დღეს.

<sup>9</sup> ამ არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ნომერი იყო 5. ასევე იხ. წინამდებარე ანგარიშის მე-18 გვერდი.

ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდი ქართულ ენაზე ინფორმაციულია და რეგულარულად ახლდება. თუმცა იგი არჩევნების შემდეგ, განსაკუთრებით კი, ის გვერდები, რომლებზედაც არჩევნების შედეგები იყო გამოქვეყნებული, სავარაუდოდ, ტექნიკური მიზეზების გამო გამართულად არ მუშაობდა.

ის პრობლემები და დარღვევები, რაც დათვლის, შეჯამებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესში წარმოიშვა, ასევე საარჩევნო კომისიების, განსაკუთრებით კი ცესკოს მუშაობის გაუმჭირვალობა შეჯამების პროცესის მსვლელობისას, არ იყო ხელშემწყობი ფაქტორი ხალხის ნდობის ამაღლების საქმეში.

## ბ. საოლქო საარჩევნო კომისიები

საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა კვლავ პარტიის ფორმალური წარმომადგენლის გარეშე რჩება. ისინი ღია კონკურსის გზით შერჩეული ხუთი წევრისგან შედგება, რომლებიც ცესკოს მიერ 5 წლის ვადით ინიშნებიან. არჩევნებამდე საოლქო საარჩევნო კომისიები ზოგადად კარგად ორგანიზებული იყვნენ, მართავდნენ საგანგებო სხდომებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისა და მედიისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიათა უფლებამოსილება და არჩევნების დღეს დაკავშირებული მოვალეობები საარჩევნო კოდექსში ბოლოს შეტანილი ცვლილებების შედეგად შემცირდა, პრაქტიკულად, საოლქო საარჩევნო კომისიები საკმაოდ აქტიურები იყვნენ და ზოგჯერ ისეთ ქმედებებს ჩადიდნენ, რაც მათ უფლებამოსილებას აღემატებოდა, მაგალითად, როგორცაა საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებში ცვლილებების შეტანა. იმ საოლქო საარჩევნო კომისიებში, რომლებშიც ბევრი საუბნო საარჩევნო კომისია შედიოდა, თვალში საცემი იყო ადამიანური რესურსების ნაკლებობა, რაც არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შემოსული ყველა ინფორმაციის გადამუშავებისთვის არის საჭირო<sup>10</sup>.

რამდენიმე ოლქში ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არ იყვნენ ინფორმირებული საუბნო საარჩევნო კომისიების გახსნითი სხდომების თაობაზე.<sup>11</sup> მაგალითად, 23-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში, ოქმთა უმეტესობა პირველი საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომებიდან საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრიდან მხოლოდ შვიდი ან რვა წევრის მიერ იყო ხელმოწერილი. საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ მან საუბნო საარჩევნო კომისიის მხოლოდ მის მიერ დანიშნული წევრები გააფრთხილა. საერთო სახალხო მოძრაობამ ამ ფაქტთან დაკავშირებით საჩივარი შეიტანა, რომელშიდაც განაცხადა, რომ 23 საარჩევნო უბანი გახსნით სხდომაზე მისულ მის

<sup>10</sup> საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია დაიქირაოს 5 პერსონალი იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი საუბნო საარჩევნო კომისია შედის მის იურისდიქციაში.

<sup>11</sup> 22<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიები პირველივე სხდომებზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს კომისიათა თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და მდივნებს.

წევრებს დაკეტილი დახვდათ.<sup>12</sup> ცესკომ #12, #15, #28 და #61 საოლქო საარჩევნო კომისიების 16 საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომების ოქმები დადგენილი პროცედურების დარღვევით ჩატარების გამო ბათილად ცნო.

## გ. საუბნო საარჩევნო კომისიები

საუბნო საარჩევნო კომისიები 13 წევრისგან შედგება, რომლებიც ყოველ არჩევნებზე თავიდან ინიშნებიან. საუბნო საარჩევნო კომისიის დანარჩენი ექვსი წევრი იმ პოლიტიკური პარტიების მიერ ინიშნება, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ამ არჩევნებისთვის შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დე ფაქტო უმრავლესობას წარმოადგენდა, ოპოზიციური პარტიები მმართველ ოპოზიციებზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი<sup>13</sup>.

ამ არჩევნებზე ცესკომ 3,511 საარჩევნო უბანი გახსნა. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შედეგად თითოეულ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რიცხვი 2000-დან 1500-მდე შემცირდა, რამაც ფართოდ დასახლებულ ცენტრებში უბნების თავიდან დაყოფის აუცილებლობა განაპირობა. სოფლებში სამისამართო სისტემის არარსებობის პირობებში, სადაც ამომრჩევლები ანბანური წესით არიან ჩამოთვლილი ამომრჩეველთა სიაში, სოფლის საარჩევნო უბანთა არეალი ამ არჩევნებზე თავიდან არ განისაზღვრა.

არჩევნების დღემ გამოავლინა, რომ ბევრი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ იყო სათანადოდ მომზადებული მოვალეობების შესასრულებლად. ეს განსაკუთრებით აშკარა იყო ხმათა დათვლისა და საბოლოო შედეგთა ოქმების შევსებისას.

## VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ცესკომ ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა სიების კარდაკარ გადამოწმება განახორციელა, რის შედეგადაც საარჩევნო სიას 65,000 ამომრჩევლის მონაცემი დაემატა და 28,000 გარდაცვლილი პირი იქნა ამოღებული. მიუხედავად ამ ღონისძიებისა, ბევრი დაინტერესებული მხარე ძირითად წუხილს მათში არსებული სავარაუდო თუ რეალური უზუსტობების გამო გამოთქვამდა. ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გააკრიტიკეს სიების გადამოწმების პროცესი და იგი შეაფასეს როგორც არაეფექტიანი და არასათანადო დონეზე შესრულებული. ცესკომ აღიარა, რომ ამომრჩეველთა მონაცემების ერთი მესამედი საერთოდ არ გადამოწმებულა.

<sup>12</sup> შემთხვევები, როდესაც პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არ ეცნობათ საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის შესახებ, დაფიქსირდა #24 და #26 საოლქო საარჩევნო კომისიებში.

<sup>13</sup> ცესკოს მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები საუბნო საარჩევნო კომისიათა უმეტესობაში თავმჯდომარეებად იქნენ არჩეული მაშინ, როდესაც ოპოზიციის მიერ მხოლოდ ორი თავმჯდომარე იყო დანიშნული.

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით მრავალი პრეტენზია მოისმინეს იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი გარდაცვლილი პირი კვლავ რჩებოდა ამომრჩეველთა სიებში. ცესკომ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად წამოიწყო ინიციატივა, რის მიხედვითაც საჯარო რეესტრის სააგენტოს უნდა ცნობებოდა საარჩევნო სიებში გარდაცვლილ პირთა არსებობის შესახებ, რათა სათანადო აღნიშვნა გაკეთებულიყო სიებში. თუმცა ეს შანსი გარდაცვლილი ნათესავების სიიდან ამოღების შესახებ მოსახლეობის მხოლოდ მცირე რაოდენობამ გამოიყენა.

ცესკოს განცხადებით, ამომრჩეველთა რეესტრში მონაცემთა შეყვანის სისტემამ სისტემატიზირებული ხასიათი მიიღო, ამასთანავე, დაინსტალირდა ახალი პროგრამა, რომელიც დუბლიკატების აღმოჩენის საშუალებას იძლეოდა. თუმცა პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს მიაწოდეს მაგალითები დუბლიკატებისა და არასრული მონაცემების არსებობის, გამოტოვებული ამომრჩეველებისა და მართლწერასთან დაკავშირებული შეცდომების შესახებ. ცესკომ დაადასტურა შეცდომების შესაძლო არსებობა, რის მიზეზადაც არჩევნების მოულოდნელად დანიშვნის გამო დროის ნაკლებობა დაასახელა. ოპოზიციურმა პარტიებმა ცესკოში სულ ცოტა ექვსი საჩივარი შეიტანეს, რომლებშიც 40,000-მდე ამომრჩეველის შესახებ არსებულ არასწორ მონაცემებზე მიუთითებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საჩივრები ამომრჩეველთა სიის გადამოწმებისთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ იქნა შეტანილი, ცესკომ განაცხადა, რომ საჩივრებში მოყვანილი შემთხვევები გადამოწმდა და უზუსტობების დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი შესწორებებიც გაკეთდა.

6 დეკემბერს, კანონით დადგენილ ვადაში, ცესკომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეტანილ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა გამოაქვეყნა, რაც იმ დროს 3,372,836 შეადგენდა. როგორც ეს საარჩევნო კოდექსშია მოცემული, ამომრჩეველთა სიის ფრაგმენტები შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიათა შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოიკრა. ამ პერიოდის განმავლობაში ამომრჩეველებს სიაში თავიანთი თავის გადამოწმება შეეძლოთ და ინტერნეტის ან ცესკოს ცხელი ხაზის მეშვეობით შესწორების შეტანა მოეთხოვათ, ან შესწორების შეტანის მოთხოვნით პირადად მისულიყვნენ საარჩევნო კომისიებში. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია, სადაც საარჩევნო სიები იყო გამოკრული და რომლებიც OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მოინახულეს, საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველის მიერ მოთხოვნილი შესწორებები სიაში ყოველთვის არ შეჰქონდათ. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები შეესწრნენ ფაქტებს, როდესაც ამომრჩეველთა მოთხოვნები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა არ დააკმაყოფილეს და საარჩევნო სიებში მათი დამატების მიზნით არჩევნების დღეს

მოსვლა ურჩიეს<sup>14</sup>. გადამოწმების პროცესის შემდეგ ცესკომ განაცხადა, რომ 2008 წლის 2 იანვრისთვის 3,352,448 ამომრჩეველი დარეგისტრირდა. 2 იანვარს ცესკომ შესწორებული სარჩევნო სია საუბნო საარჩევნო კომისიებში გააგზავნა.

ამომრჩეველთა დღეს იმ ამომრჩეველთა რეგისტრაცია, რომლებიც ამომრჩეველთა საერთო სიაში არასწორად იყვნენ გამოტოვებული, ხელახლა იქნა შემოღებული ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების შედეგად. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული იყო ამომრჩევლის საცხოვრებელი ადგილის მისამართი უბნის ტერიტორიაზე, შესაძლებელი იყო ამომრჩევლის რეგისტრაცია<sup>15</sup>. არჩევნების დღეს დამატებით სიებში შეყვნილ ამომრჩევლებს კონვერტში ჩადებული ბიულეტენის წითელ კონვერტში მოთავსება მოეთხოვებოდათ, რომელთა დათვლა სპეციალური პროცედურით წარმოებდა (იხ. ნაწილი XV, ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება). საარჩევნო პერიოდში არჩევნების დღეს რეგისტრაციის შემოღება დაინტერესებულ მხარეებში შეშფოთებას იწვევდა. ისინი გამოთქვამდნენ შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ ამით ორმაგი ხმისმიცემის დიდი ალბათობა იქმნებოდა. არჩევნების დღეს დამატებით სიებში 85 ათასამდე ამომრჩეველი შევიდა. ეს რიცხვი ამომრჩეველთა სიის არასრულყოფილებაზე მიუთითებს.

## VII. კანდიდატთა რეგისტრაცია

კანდიდატთა რეგისტრაცია საერთო ჯამში იყო მოცულობითი და გამჭვირვალე. 26 ნოემბერს ცესკომ იმ 22 პოტენციური საპრეზიდენტო კანდიდატის სია წარმოადგინა, რომლებმაც განაცხადი რეგისტრაციაში გატარების მიზნით შეიტანეს. ცესკომ 19 მათგანს მისცა სარეგისტრაციო პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლის უფლება და ამისათვის აუცილებელი 50,000 მხარდამჭერთა ხელმოწერის შეგროვება. კანონით დადგენილ ვადებში მხოლოდ ცამეტმა პარტიამ და საინიციატივო ჯგუფმა წარუდგინა ცესკოს მხარდამჭერთა ხელმოწერის სიები. შეტანილი ბოლო ცვლილებების თანახმად, კანდიდატებს სარეგისტრაციო დოკუმენტებში შეცდომების გასასწორებლად ორი დღე მიეცათ. საჭიროების შემთხვევაში, ორი დღის ვადაშივე მათ უნდა წარმოედგინათ დამატებით მხარდამჭერთა ხელმოწერებიც. საბოლოოდ, შვიდი კანდიდატი დარეგისტრირდა. ოთხმა პრეტენდენტმა, რომლებიც ხელმოწერების არასაკმარისი რაოდენობის გამო რეგისტრაციაში არ გაატარეს, ცესკოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა უშედეგოდ.

აღნიშნულ შვიდეულში შევიდნენ შემდეგი კანდიდატები: მიხეილ სააკაშვილი - მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; ლევან გაჩეჩილაძე - ცხრა

<sup>14</sup> ასეთი ფაქტები დაფიქსირდა გორის საოლქო საარჩევნო კომისიაში (#32), #8 და #9 საუბნო საარჩევნო კომისიებში.

<sup>15</sup> ამ ამომრჩევლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები უნდა შეენახა საუბნო საარჩევნო კომისიებს მას შემდეგ, რაც ამომრჩევლები დამატებით სიაში შეყვნიას მოითხოვდა.

ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი ბლოკი „საერთო სახალხო მოძრაობა“; დავით გამყრელიძე - ახალი მემარჯვენეები; შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია; გიორგი მასისაშვილი - მომავლის პარტია; ირინა სარიშვილი-ჭანტურია - პარტია იმედი; და არკადი პატარკაციშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი.

11 დეკემბერს ცესკომ ლატარიის პრინციპით კანდიდატთა რიგითობა განსაზღვრა. თუმცა ის კანდიდატები, რომლებიც იმ სამ პარტიას წარმოადგენდნენ, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე ხმათა ყველაზე დიდი რაოდენობა მიიღეს, მიეცათ საშუალება აერჩიათ პირველ, მეორე ან მესამე ადგილებს შორის, ან ის ნომერი, რაც მათ პარტიებს წინა საპარლამენტო არჩევნებზე ეკავათ. სამმა კანდიდატმა - ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, ბატონმა დავით გამყრელიძემ და ბატონმა შალვა ნათელაშვილმა ისარგებლეს ამ შესაძლებლობით და აირჩიეს ის ნომრები, რომლითაც მათი პარტიები ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე გამოდიოდნენ (შესაბამისად 5, 3 და 4).

### VIII. საარჩევნო კამპანია

საარჩევნო კამპანია მკვეთრად პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოში მიმდინარეობდა. ოპოზიციური კანდიდატები როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის, ისე პროცესის სამართლიანობისადმი დიდ უნდობლობას გამოთქვამდნენ. გაცხადდა მთელი რიგი დარღვევების შესახებ. OSCE/ODIHR არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ რამდენიმე მათგანი დაადასტურა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ოპოზიციურ კანდიდატთა უმრავლესობა აქცენტს პოლიტიკის საკითხებისა და საარჩევნო კამპანიის ნაცვლად საარჩევნო დარღვევების ბრალდებებზე აკეთებდა, რათა არჩევნების შედეგებისთვის ჩრდილი მიეყენებინათ. ზოგიერთი ოპოზიციური კანდიდატი აცხადებდა, რომ ისინი პატივს სცემდნენ სამართლიანი არჩევნების შედეგებს, თუმცა, ამავე დროს, გამუდმებით ექვეყვემ აყენებდნენ პროცესის სამართლიანობას.

საერთო ჯამში, პოლარიზაციამ, უნდობლობამ, ხშირმა პრეტენზიებმა დარღვევების შესახებ, არჩევნების შემდეგ დემონტრაციების გამართვით სპეკულირებამ და ბრალდებებმა სახელმწიფო გადატრიალების მზადების თაობაზე არ შეუწყო ხელი კონსტრუქციული, საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე საარჩევნო კამპანიის ჩატარებას.

ზოგადად, ყველა კანდიდატს ქვეყნის მასშტაბის საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება ჰქონდა. საარჩევნო კამპანიის დასაწყისში ოპოზიციურმა კანდიდატებმა განაცხადეს, რომ მათ თანაბრად არ მიუწვდებოდათ ხელი სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ შენობებზე, რათა იქ საარჩევნო ღონისძიებები გაემართათ. ხშირ შემთხვევაში ოპოზიციურ კანდიდატებს ჰქონდათ სახელმწიფო საკუთრებაში

არსებული შენობების გამოყენების საშუალება. მიუხედავად ამისა, არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა, რომ თელავში ბატონ ლევან გაჩეჩილაძეს არ მისცეს უფლება გამოეყენებინა თეატრი, რომელიც წინა დღეს ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა გამოიყენა.

კამპანიის ინტენსივობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ადგილების მიხედვით. უფრო აქტიური კამპანია შეინიშნებოდა თბილისში ვიდრე ქვეყნის სხვა დანარჩენ ნაწილში. მთავარი აქტივობა იყო კანდიდატთა დემონსტრაციები, რომელთაგან ოთხმა ინტენსიურად მოიარა მთელი ქვეყანა. ბატონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანია გაცილებით უფრო მასშტაბული იყო, ვიდრე სხვა კანდიდატების. თუმცა სხვა კანდიდატთა საარჩევნო იმპულსმა პიკს არჩევნების მოახლოებასთან ერთად მიაღწია, დაიწყო პლაკატების გამოყენება და კარდაკარ საარჩევნო ფურცლების დარიგება.

ბატონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანია კონცენტრირებული იყო სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის დაპირებებზე, მისი პრეზიდენტობის დროის მიღწევებზე, გაზრდილ ხელფასებსა და პენსიებზე, და ელექტრო ენერჯით მომარაგების სრულ წყაროზე. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა თავისი მიზანი აღადგინოს ქვეყნის ტეროტორიული მთლიანობა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა კანდიდატებიც აქცენტს სოციალურ თემებზე აკეთებდნენ, მათი კამპანიის ძირითადი ნაწილი სააკაშვილის ლანძვას ეთმობოდა. მაგალითად, ბატონმა შალვა ნათელაშვილმა მიტინგზე სააკაშვილი „ანტიქრისტედ“ შერაგნა. ბატონმა ლევან გაჩეჩილაძემ 7 ნოემბრის მიტინგის ულმობელი დარბევის ფაქტი აღნიშნა და პირობა დადო, რომ თუ ის გახდებოდა პრეზიდენტი, ადამიანის უფლებათა დაცვას დიდ ყურადღებას მიაქცევდა.

სარჩევნო კოდექსის მოთხოვნა საარჩევნო პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით სათანადოდ არ ხორციელდებოდა. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა შემთხვევები, როდესაც საარჩევნო პლაკატები საჯარო შენობების ფასადებზე იყო გაკრული. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ევალებოდათ გამოეყოთ ადგილები პლაკატების გასაკრავად, საიდანაც მათი ჩამოხსნა, დაფარვა ან ჩამოხევა დანაშაული იყო. თუმცა, საარჩევნო კამპანიის ჯგუფები აფიქსირებდნენ, რომ ხანდახან მათ არ იცოდნენ, თუ სად გაეკრათ პლაკატები და საყვედურობდნენ, რომ ხანდახან მათი პლაკატების ჩამოღება ხდებოდა. საერთო სახალხო მოძრაობის წევრმა ბათუმში OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, რომ 4 იანვრის დილას საერთო სახალხო მოძრაობის წევრები, რომლებიც პლაკატებს აკრავდნენ სასტიკად სცემეს ნიღბიანმა პირებმა.

მაშინ, როდესაც საარჩევნო კოდექსი არ კრძალავს კამპანიის წარმოებას არჩევნების დღეს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიერ არჩევნების დღეს კამპანიის წარმოების აკრძალვა გაუგებარია, ვრცელდება თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებზე. ფაქტობრივად, OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა ფართომასშტაბიანი საარჩევნო კამპანია არჩევნების დღეს, ზოგჯერ საარჩევნო უბნებშიდაც კი.

კანდიდატი ბატონი პატარკაციშვილი მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში საზღვარგარეთ იმყოფებოდა. იმის გამო, რომ ხელისუფლებამ მას სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში დასდო ბრალი, მან მოითხოვა იმის გარანტია, რომ ჩამოსვლისას არ დააკავებდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა დასძინეს, რომ იგი ისეთი იმუნიტეტით სარგებლობდა, როგორც ყველა სხვა კანდიდატი და რომ სხვა რაიმე გარანტია არ გაიცემოდა. ვინაიდან, აღნიშნული იმუნიტეტის მოხსნა შესაძლებელია ცესკოს მიერ გენერალური პროკურორის მოთხოვნის საფუძველზე, პატარკაციშვილმა მიიჩნია, რომ ის იმუნიტეტი, რომლითაც იგი, როგორც კანდიდატი სარგებლობდა, არ იყო საკმარისი. 24 და 25 დეკემბერს ხელისუფლებამ გაავრცელა რამდენიმე ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ნაჩვენებია იყო, თუ როგორ გეგმავდა საპრეზიდენტო კანდიდატის, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი არჩევნების შემდეგ სახელმწიფო გადატრიალებას. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა პატარკაციშვილმა თავიდან განაცხადა თავისი კანდიდატურის მოხსნის თაობაზე, მან იგი ოფიციალურად არ გააკეთა და მოგვიანებით კენჭისყრაში მონაწილეობა გადაწყვიტა.

სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის გამყოფი ხაზის ბუნდოვანებამ, რომელიც არ შეესაბამება 1990 წლის ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4. პუნქტს, არათანაბარი საარჩევნო გარემო შექმნა და დავის მიზეზად იქცა. პენსიონერებისათვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის კომუნალური და სამედიცინო ვაუჩერების დარიგება გააკრიტიკეს, როგორც მიხეილ სააკაშვილის კამპანიის სასარგებლოდ საბიუჯეტო სახსრების აშკარა გამოყენება. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ვაუჩერების დარიგება დაგეგმილი იყო კამპანიის დაწყებამდე. თუმცა არის იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ მათი დარიგება საარჩევნო კამპანიისთვის გამოიყენებოდა. ვაუჩერში ნათლად იყო მოცემული, რომ იგი პრეზიდენტის სუბსიდია იყო. ჯანდაცვის ვაუჩერებზე, ისევე როგორც დასაქმების პროგრამის ფურცლებზე გამოსახული იყო ციფრი „5“ - ნომერი, რომლითაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში 2004 წლიდან მონაწილეობს. ვაუჩერების დამრიგებლები მათ აღრესატებს ხანდახან ეკითხებოდნენ იმის თაობაზე, მისცემდნენ თუ არა ხმას ბატონ მიხეილ სააკაშვილს, და თხოვდნენ ხელი მოეწერათ დოკუმენტზე და ამით მათი მხარდაჭერა დაედასტურებინათ.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივმა თავმჯდომარემ OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა იმის თაობაზე, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა დაარიგეს ვაუჩერები და შეშა, და რომ მოგვიანებით ჩატარებული იგივე ღონისძიებები მოიცავდა ბატონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიას კარდაკარ. სხვა თვითმხილველმა აუღწერა არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას, თუ როგორ დარიგდა ვაუჩერები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისიდან ბატონი სააკაშვილის საარჩევნო კამპანიაში ჩართული პირების მიერ. ერთმა პენსიონერმა არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა იმის თაობაზე, თუ როგორ ეწვივნენ მას ერთიანი ნაციონალური

მომრავობის აქტივისტები ვაუჩერებითა და საარჩევნო მასალებით და თხოვეს შეევესო ბარათი და ამით მიხეილ სააკაშვილისადმი თავისი მხარდაჭერა დაედასტურებინა.

კამპანიის ბოლოს ქვეყნის ბევრ ნაწილში დაიწყო საპრეზიდენტო პროგრამა, რომელიც ფერმერებისთვის ტრაქტორების დარიგებას გულისხმობდა. ბევრ ადგილას არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შეამჩნია, რომ სააკაშვილის საარჩევნო პლაკატები გაკრული იყო დარიგებულ ტრაქტორებზე. ახმეტაში გამართულ დემონსტრაციაზე ხუთი ასეთი ტრაქტორი საარჩევნო პლაკატებით დაყენებული იყო იმ სცენასთან ახლოს, საიდანაც ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ამომრჩევლებს მიმართა და თავის მიმართვაში აქცენტი ტრაქტორების დარიგების პროგრამაზე გააკეთა.

ოპოზიციის იმ ბრალდებების პასუხად, რომ ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა გამოიყენა სახელმწიფო რესურსები, როგორცაა მანქანები და ვერტმფრენი, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ გაწეულ მომსახურებაზე ხარჯები პარტიამ გაიღო. დამინც, ადგილობრივ დონეზე სააკაშვილის კამპანიისთვის სახელმწიფო რესურსების გამოყენებას ადგილი ჰქონდა. ახმეტაში გამართულ დემონსტრაციაში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შენიშნა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის თანამშრომლები აწარმოებდნენ სამზადისს, სცენის მონტაჟის ჩათვლით. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ასევე დაადასტურა, რომ თერჯოლაში ადგილობრივი ავტობუსები გამოიყენებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიტინგებისთვის. პარტია კი, მხოლოდ საწვავის თანხას იხდიდა.

მკირი სახელმწიფო დაცვა, რომლითაც ბატონი მიხეილ სააკაშვილი, როგორც ყოფილი პრეზიდენტი, სარგებლობდა ოპოზიციის მხრიდან აღიქმებოდა, როგორც მისი საპრეზიდენტი პრივილეგიების გაგრძელება, რაც მას რთავდა ნებას გადაეკეტა გზები, როდესაც იგი მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა. 24 დეკემბერს პრეზიდენტის მიერ ახალქალაქში ახალი გაზსადენისა და თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის განათების სისტემის ოფიციალურ გახსნებს საპრეზიდენტო ღონისძიებების სახე მიეცა, რაც არ შეესაბამებოდა ბატონი სააკაშვილის ყოფილი პრეზიდენტის სტატუსს, რადგან მაშინ ის იყო კანდიდატი და არა საჯარო მოხელე.

ბრალდებები ხმების მოსყიდვასთან დაკავშირებით ერთნაირად ისმოდა სააკაშვილისა და პატარკაციშვილის წინაღმდეგ. ბატონი მიხეილ სააკაშვილი საარჩევნო ფურცლების დარიგებაში დაადანაშაულეს, რომელშიდაც გასართობი პარკის უფასო ბილეთები იდო. ბატონ პატარკაციშვილს მისი დაპირების გამო დაუპისისპირდნენ, როდესაც მან განაცხადა, რომ თუ მას აირჩევდნენ, ის პირადი სახსრებიდან 1,5 მილიარდ ლარს (650 მილიონი ევრო) დახარჯავდა ქვეყნის მოსახლეობის კომუნალურ გადასახადებზე 18 თვის განმავლობაში და სხვადასხვა სოციალურ პროგრამაზე.

სახელმწიფო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული სადავო საკითხი იმის გამო გამწვავდა, რომ კანდიდატების მიერ არჩევნებამდე არ მოხდა კამპანიის

დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა. მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საარჩევნო კამპანიის ფონდის მენეჯერებმა ყოველთვიურად უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია კამპანიის დაფინანსების თაობაზე, არაადეკვატური იყო ისეთი არჩევნების დროს, როდესაც კანდიდატები არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დარეგისტრირდნენ. საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკომ შექმნა ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მოვალეობას კანდიდატთა კამპანიის ხარჯების მონიტორინგი წარმოადგენდა. კანდიდატებს, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ცესკოსათვის უნდა წარედგინათ არჩევნებისთვის გამოყენებული სახსრების ანგარიში. გამარჯვებულ კანდიდატს კი, აღნიშნული ანგარიში არჩევნებიდან 8 დღის ვადაში უნდა წარედგინა<sup>16</sup>. თითოეული ფონდის ანგარიშს აუდიტს უკეთებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი აუდიტორული კომპანია.

საარჩევნო კამპანია ფართოდ გავრცელებულმა დაშინებისა და ზეწოლის ბრალდებებმა გადაფარა, რაც სხვებთან ერთად ასევე საჯარო მოხელეებზეც ვრცელდებოდა. ადგილი ჰქონდა ზეწოლას პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ოპოზიციის მხარდამჭერებზე, რათა მათ შეეწყვიტათ კამპანიის წარმოება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ მათთვის და მათი ოჯახებისთვის ყველაფერი უარყოფითი შედეგებით დასრულდებოდა. ადგილი ჰქონდა თვითნებური დაკავებით, დაჯარიმებითა და სამსახურიდან გათავისუფლებით დაშინებას. ოპოზიციის წარმომადგენელმა კახეთში ერთ-ერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, თუ როგორ გააფრთხილა იგი იმ სახელმწიფო დაწესებულების დირექტორმა, სადაც იგი მუშაობდა იმის თაობაზე, რომ იგი სამსახურიდან იქნებოდა გათავისუფლებული, თუ ხმას ბატონ სააკაშვილს არ მიცემდა. საერთო სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ შიდა ქართლში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა იმის თაობაზე, თუ როგორ გააფრთხილეს იგი იმასთან დაკავშირებით, რომ, თავის პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში, მისი დისშვილი, რომელიც ადგილობრივ ადმინისტრაციაში მუშაობდა, სამსახურიდან გათავისუფლდებოდა. ადგილი ჰქონდა პრეტენზიებს იმის თაობაზე, რომ შენობების მესაკუთრეებზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა მათ არ მიექირავებინათ ფართი ოპოზიციისთვის საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. კახეთში საერთო სახალხო მოძრაობის ოფისის მესაკუთრემ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას უთხრა იმის თაობაზე, თუ როგორ დააშინეს ის და მისი ოჯახი დაჭერით, თუ იგი ოფისის გაქირავებას გააგრძელებდა. პრეტენზიები იმასთან დაკავშირებით, რომ ხორციელდებოდა ზეწოლა მეწარმეებზე, რათა მათ აღმოეჩინათ დახმარება ბატონი სააკაშვილის კამპანიისთვის, არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ერთ შემთხვევაში ბიზნესის წარმომადგენელმა დაუდასტურა. ასეთი მეთოდები არ შეესაბამება ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7. პუნქტს, რომელიც მოითხოვს,

<sup>16</sup> ბატონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბებმა საჭირო დოკუმენტაცია დადგინებულ ვადებში წარადგინეს. ამ დოკუმენტების მიხედვით, სააკაშვილის საარჩევნო კამპანიისას 23 მილიონი ლარი (10 მილიონი ევრო) დაიხარჯა.

რომ არჩევნები სამართლიან და თავისუფალ გარემოში, ყოველგვარი ადმინისტრაციული ჩარევის, ძალადობისა და დაშინების გარეშე უნდა ჩატარდეს.

ოპოზიციური აქტივისტების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების გარკვეული რაოდენობა, გატაცების ჩათვლით, დაფიქსირდა პიროვნებებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ, რომელთაგან ზოგიერთი დადასტურდა. ჩონხატაურში ლეიბორისტული პარტიის აქტივისტმა არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა იმის თაობაზე, თუ როგორ გაიტაცა იგი პოლიციამ 9 დეკემბერს და თუ როგორ ახორციელებდნენ მასზე ზეწოლას, რათა მას დაეტოვებინა პარტია და თუ როგორ ცემეს იგი.

ადგილი ჰქონდა საარჩევნო შტაბებში შეჭრის ფაქტებს, რაც, ოპოზიციის აზრით, პოლიტიკურად მოტივირებული იყო. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ახალი მემარჯვენეების საარჩევნო ოფისი სამტრედიამში 4 იანვარს დილით ადრე დაარბიეს. ასევე დადასტურდა ზესტაფონში ლეიბორისტული პარტიის ოფისის დაზიანება ასაფეთქებელით საღამოს 3 იანვარს.

საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიზნით, შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების სამთავრობო სამუშაო ჯგუფი. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დაკვირვებით ზოგჯერ ოპოზიციის უკმაყოფილობები პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ჩარევის შედეგად გვარდებოდა. საარჩევნო კამპანიის ბოლო დღეებში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მკაცრად მოუწოდეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებს, პოლიციასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს დაეცვათ კანონი და თავი შეეკავებინათ ყველა იმ ქმედებისგან, რასაც შესაძლოა არჩევნების მთლიანობისათვის მიეყენებინა ზიანი.

## IX. მედია

### ა. ზოგადი ფონი

ქართული მედიაგარემო მრავალფეროვანია, მოიცავს რა როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო მაუწყებლებს და ბევრ ბეჭდვით გამოცემას. ტელევიზია ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ტელეკომპანია „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და კერძო ტელეკომპანიები „იმედი“, „რუსთავი 2“ და „მზე“ მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ. გაზეთთა უმეტესობა მცირე ტირაჟიანია.

მაუწყებელთა მთავარი მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელსაც ლიცენზირებისა და სახედასრულო მოვალეობები აკისრია. იგი 2000 წელს შეიქმნა და 5 წევრისგან შედგება, რომლებიც პრეზიდენტის ბრძანებულებით ექვსი წლის ვადით ინიშნებიან. 2004 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მაუწყებლობის შესახებ კანონის მიღების შემდეგ სახელმწიფო ტელევიზია და რადიო კორპორაცია 2005

წელს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაიქმნა. მას ზედამხედველობას ცხრა წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო უწევს, რომელსაც პარლამენტი ნიშნავს.

საარჩევნო პერიოდში მედიაგარემოზე ზემოქმედება საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ მოახდინა, რომლის განმავლობაშიც მედიას ინფორმაციის გავრცელება ეკრძალებოდა. სამმა ტელეკომპანიამ მაუწყებლობა შეწყვიტა. ორმა ტელეკომპანიამ „კავკასიამ“ და „25 არხმა“ ნორმალურად ფუნქციონირების დაწყება საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ შეძლეს.

## ბ. მედიასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა

კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვისა და პრესის თავისუფლებას და კრძალავს ცენზურას. ის კანონმდებლობა, რითაც მედია და გამოხატვის თავისუფლება რეგულირდება, მიიჩნევა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში<sup>17</sup>. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკანონმდებლო გარანტიები მედიის თავისუფლებისთვის, ისინი ბოლომდე არ არის იმპლემენტირებული.

საარჩევნო კოდექსში არის მუხლები, რომელთა მეშვეობითაც საარჩევნო კამპანიის განმავლობაში მედიის საქმიანობა კონტროლირდება, ისევე როგორც საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის სამაუწყებლო და ბეჭდვით მედიაში უფასო და ფასიანი საეთერო დროის გამოყოფა. კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს „კვალიფიციურ“ და „არაკვალიფიციურ“ სუბიექტებს და მიუთითებს, რომ საეთერო დროის თანაბრად განაწილება და დებატებში მონაწილეებისას ერთნაირი პირობების შექმნა ვრცელდება მხოლოდ „კვალიფიციურ“ სუბიექტებზე. „კვალიფიციურ“ სუბიექტებად მიიჩნევიან იმ პოლიტიკურ პარტიათა კანდიდატები, რომლებიც ქმნიან ფრაქციას პარლამენტში, ან კიდევ ბოლო პროპორციულ არჩევნებში მიიღეს ხმათა მინიმუმ ოთხი პროცენტი. რაც შეეხება „არაკვალიფიციურ“ სუბიექტებს, იმისათვის, რომ მათ უფასო საეთერო დროით/სივრცით ისარგებლონ, მათ საზოგადოების მხარდაჭერა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგებით უნდა დაამტკიცონ.

## გ. სატელევიზიო დებატები და „თოქ-შოუები“

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, ასევე ის კერძო ტელევიზიები, რომლებიც ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბით მაუწყებლობენ, კანდიდატებსა და მათ წარმომადგენლებს შორის „თოქ-შოუებსა“ და დებატებს რეგულარულად

<sup>17</sup> კონსტიტუციის გარდა, მედიასაკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობა მოიცავს კანონს მაუწყებლობის შესახებ, კანონს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თავს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ. მედიაგარემოს შეფასება და კანონმდებლობა ხელმისაწვდომია Freedom House-ის 2007 წლის ანგარიშში ([www.freedomhouse.hu/images/fdh\\_galleries/NIT2007final/nit-georgia-web.pdf](http://www.freedomhouse.hu/images/fdh_galleries/NIT2007final/nit-georgia-web.pdf)) და IREX-ის მედიის მდგრადი განვითარების ინდექსში 2006/2007 [www.irex.org/programs/MSI\\_EUR/2006/georgia.asp](http://www.irex.org/programs/MSI_EUR/2006/georgia.asp).

მართავდნენ, რა დროსაც აზრთა გაცვლის თვალსაზრისით მსგავსი გადაცემებით მათ მნიშვნელოვანი ფორუმი შესთავაზეს. ამასთანავე, მათ ამომრჩევლებს საშუალება მისცეს კანდიდატებისა და პარტიების საარჩევნო პროგრამის თაობაზე წარმოდგენა შექმნოდათ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი აპირებდა გაემართა ცალკე დებატები როგორც „კვალიფიციური“, ისე „არაკვალიფიციური“ სუბიექტებისთვის, ორი კანდიდატი, ირინა სარიშვილი და გიორგი მასისაშვილი, რომლებიც „არაკვალიფიციურ“ სუბიექტებს განეკუთვნებოდნენ, უარი განაცხადეს დებატებში მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომ ისინი დებატებს მხოლოდ ბატონ სააკაშვილთან გამართავდნენ. ანალოგიურად არ შედგა დებატები ოთხ მთავარ კანდიდატს შორის, რადგან ბატონმა სააკაშვილმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე. მისმა სამმა ყველაზე მთავარმა კონკურენტმა კი, დებატებში მონაწილეობის მიღებაზე მხოლოდ იმ პირობით განაცხადა თანხმობა, რომ მათ სააკაშვილთან დებატების გამართვის საშუალება მიეცემოდათ. ამის გამო, ამომრჩევლებს არ მიეცათ საშუალება ინტერაქტიულ ფორმატში ეხილათ წამყვანი კანდიდატების პოლიტიკური შეხედულებების ურთიერთგაცვლა. ამას თან ერთვოდა მედიის მხრიდან სურვილის არქონა კრიტიკულად გაემუქებიათ მოვლენები.

#### დ. ტელეკომპანია „იმედი“

იმ დღეს, როდესაც შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა, ტელეკომპანია „იმედი“, ოპოზიციის მხარდამჭერად მიჩნეული პოპულარული კერძო ტელეკომპანია, პოლიციამ დაარბია, რასაც შემდეგ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სანქცია მოჰყვა, რაც გულისხმობდა ჯარიმის დაკისრებასა და სამაუწყებლო ლიცენზიის მოქმედების დროებით შეჩერებას ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობისკენ მოწოდების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანიამ მაუწყებლობის განახლება მხოლოდ 12 დეკემბერს შეძლო, მას შემდეგ რაც კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გააუქმა გაფრთხილება და ლიცენზიის მოქმედება აღადგინა, მაშინ როდესაც საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული იყო, ტელეკომპანიამ მაინც გადაწყვიტა ეროვნული კომისიის თავდაპირველი გადაწყვეტილების კანონიერება სასამართლოში გაერკვია<sup>18</sup>. წინამდებარე ანგარიშის დასრულებამდე აღნიშნული საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ მიმდინარეობდა.

26 დეკემბერს, მაუწყებლობის აღდგენიდან ორ კვირაში, ექვსმა წამყვანმა ჟურნალისტმა სახალხოდ განაცხადა თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ დატოვონ ტელეკომპანია „იმედი“ მისი თანამესაკუთრის არკადი პატარკაციშვილის მიერ სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვაში მონაწილეობისადმი პროტესტის ნიშნად. შედეგად, ტელეკომპანია „იმედი“-ს მენეჯმენტმა გადაწყვიტა დროებით შეეწყვიტა

<sup>18</sup> სასამართლოში საჩივარი ნაწილობრივ იმით იყო მოტივირებული, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად, არხის ლიცენზია, რომელსაც ვადა აპრილში ეწურება, შეიძლება ავტომატურად გაგრძელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებელზე არ გავრცელებულა სანქცია მისი მუშაობის წინა პერიოდში. ტელეკომპანია „იმედი“ ცდილობდა დაემტკიცებია, რომ მასზე გავრცელებული სანქცია თავიდანვე არაკანონიერი იყო.

მაუწყებლობა, რათა „განრიდებოდა ბინძურ პოლიტიკურ თამაშებს“, განაცხადა რა, რომ მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა როგორც პატარკაციშვილის, ისე ხელისუფლების მხრიდან.

## ე. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედიამონიტორინგი

2007 წლის 7 დეკემბრიდან 2008 წლის 4 იანვრამდე OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ხუთი ტელეკომპანიის<sup>19</sup> და ექვსი ყოველდღიური და ყოველკვირეული გაზეთის<sup>20</sup> მონიტორინგი განახორციელა. მედიამონიტორინგი მოიცავდა გაშუქების რიცხვობრივ და ხარისხობრივ ანალიზს, აფასებს რა თითოეული კანდიდატისათვის გამოყოფილ როგორც დროის, ისე სივრცის რაოდენობასა და გაშუქების ტონს.

მიუხედავად იმისა, რომ მედია ზოგადად სიტყვის თავისუფლებით სარგებლობს, ისინი თავიანთი მესაკუთრეებისა და პოლიტიკური პატრონების ძლიერი გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი. შესაბამისად, ხუთივე ძირითადი ტელეკომპანია კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან გავლენას განიცდიდა. სატელევიზიო ახალ ამბებში საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას არ იყო დაცული ბალანსი იმ ტელეკომპანიების უმეტესობაში, რომელთა მონიტორინგიც ხორციელდებოდა, საეთერო დროის უმეტესი ნაწილი, ჩვეულებისამებრ, ბატონ მიხეილ სააკაშვილზე მოდიოდა. მეორე მხრივ, ის გაზეთები, რომელთა მონიტორინგსაც OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ახორციელებდა, გამოირჩეოდა აზრთა მრავალფეროვნებით, სადაც სააკაშვილი სხვა დანარჩენ კანდიდატებთან შედარებით ყველაზე მეტად იყო გაკრიტიკებული.

არჩევნებამდე ოთხი კვირის განმავლობაში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ყველაზე რეიტინგულ დროს თავისი პოლიტიკური და საარჩევნო სიუჟეტების 27 პროცენტი მიხეილ სააკაშვილს დაუთმო, რომელთა 98 პროცენტი პოზიტიური ან ნეიტრალური იყო. სააკაშვილის შემდეგ მოდის ბადრი პატარკაციშვილი 18 პროცენტით, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მის ჩართულობაზე გაკეთებული სიუჟეტებით. სიუჟეტების 33 პროცენტი ნეგატიური იყო. დავით გამყრელიძესა და ლევან გაჩეჩილაძეზე მოდიოდა 17 და 15 პროცენტი შესაბამისად, და მათი გაშუქების ტონალობა ძირითადად პოზიტიურ ან ნეიტრალურ ხასიათს ატარებდა. ახალი ამბების გამოშვებებში არჩევნებამდე 2 კვირის განმავლობაში გაშუქება უფრო დაბალანსდა, მნიშვნელოვნად შემცირდა მიხეილ სააკაშვილისთვის დათმობილი საეთერო დრო ყველაზე რეიტინგულ დროს (ახლა მან 27 პროცენტი შეადგინა, მაშინ როდესაც იგი კამპანიის დაწყებიდან პირველ ორ კვირაში 41 პროცენტი იყო). თუმცა, გაშუქების ტონალობა ფაქტობრივად უცვლელი დარჩა. ორი კერძო ტელეკომპანია -

<sup>19</sup> პირველი არხი (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი), ტელეკომპანიები „იმედი“, „რუსთავი 2“, „მზე“ და „კავკასია“.

<sup>20</sup> რეზონანსი, 24 საათი, ალია, ასვალ დასავალი, კვირის პალიტრა, ახალი თაობა და Georgian Times.

„რუსთავი 2“ და „მზე“, - რომლებიც საქართველოს მასშტაბით მაუწყებლობენ, აშკარა მხარდაჭერას გამოხატავენ სააკაშვილის მიმართ და ყველაზე რეიტინგულ დროს ახალი ამბების გამოშვების მნიშვნელოვან წილს მას უთმობდნენ. მაგალითად, ტელეკომპანიებმა „რუსთავი 2“-მა, „მზე“-მ და „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ პირდაპირ ეთერში ყველაზე რეიტინგულ დროს ახალი ამბების გამოშვებაში უჩვენეს 28-წუთიანი რეპორტაჟი თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში, სააკაშვილის მასწავლებლებთან შეხვედრის შესახებ. სხვა კანდიდატებს არ მიუღიათ მსგავსი საეთერო დრო მათ მიერ საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების გაშუქებისას. ამასთანავე, არც ერთ სხვა კანდიდატს, სააკაშვილის გარდა, არ ჰქონია შესაძლებლობა ახალი წელი მოსახლეობისთვის პირდაპირ ეთერში მიელოცა, რაც სამივე ტელეარხით გადაიცა.

ტელეკომპანია „იმედმა“ თავის მაყურებლებს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით სულ სხვაგვარი სურათი შესთავაზა. აღნიშნულ არხზე სააკაშვილს ახალი ამბების საეთერო დროის 31 პროცენტი დაეთმო, რომლის 19 პროცენტი ნეგატიური ტონალობის იყო. სააკაშვილს მოყვებოდა პატარკაციშვილი - 26 პროცენტი, აქედან 29 პროცენტი ნეგატიური იყო. ტელეკომპანია „კავკასია“, რომელიც თბილისის მასშტაბით მაუწყებლობს, სააკაშვილის მიმართ კრიტიკით გამოირჩეოდა და მისი ძირითადი მოწინააღმდეგეებისთვის პლატფორმას წარმოადგენდა.

ცესკომ საკუთარი მედიამონიტორინგი კონტრაქტორი კომერციული კომპანიის საშუალებით პირველად ჩაატარა და არჩევნებამდე მედიამონიტორინგის სამი ანგარიშიც გამოაქვეყნა<sup>21</sup>. არჩეული მეთოდოლოგიის, ისევე როგორც შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის საფუძველზე საარჩევნო კამპანია დადებითად შეფასდა და ახალი ამბების გამოშვებებში არსებითი დისბალანსი არ დაფიქსირებულა.

ცესკოს განცხადებით, მათ მედიასთან დაკავშირებით ორი საჩივარი მიიღეს, ორივე მათგანი ბატონი გაჩეჩილაძის მიერ იყო შეტანილი. პირველი შეეხებოდა ბატონი გაჩეჩილაძის ერთ-ერთ უფასო სარეკლამო რგოლს, რომელიც შეიცავდა ანონსს მისი კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი ერთ-ერთი ღონისძიების შესახებ. აღნიშნულმა სარეკლამო რგოლმა ცესკოს თავმჯდომარის ცენზურა გაიარა, რადგან მისი აზრით, იგი არ იყო წინასაარჩევნო რეკლამა. რეალური სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, ცესკომ გაჩეჩილაძის საჩივარი არ დააკმაყოფილა. ცესკოს გადაწყვეტილებას მხარი თბილისის საქალაქო სასამართლომაც დაუჭირა. ცესკოს თავმჯდომარემ ასევე არ დააკმაყოფილა მეორე საჩივარიც, რომელშიც გაჩეჩილაძე მოითხოვდა სამი ტელევიზიის დაჯარიმებას იმის გამო, რომ მათ არ წარადგინეს ცესკოში ინფორმაცია იმის თობაზე, თუ რა საეთერო დრო დაუთმეს სააკაშვილის კამპანიას<sup>22</sup>. ცესკომ, როგორც კოლეგიალურმა ორგანომ, არ განიხილა საჩივარი, მისმა

<sup>21</sup> მედიამონიტორინგის მეოთხე ანგარიში 2008 წლის 22 იანვარს გამოქვეყნდა.

<sup>22</sup> საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით, „ტელე და რადიოკომპანიებმა წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ უნდა გამოაცხადონ და ცესკოს ყოველკვირეულად გადასცენ

თავმჯდომარემ პასუხი წერილობით გასცა, რომელშიდაც მან განაცხადა, რომ ცესკოს არ ჰქონდა უფლებამოსილება დაეჯარიმებინა ტელეკომპანიები.

ფასიანი სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამის მაღალმა ტარიფმა კანდიდატებს მედიაკომპანიის წარმოება შეუზღუდა. სამი ტელეკომპანია კანდიდატებს პოლიტიკური რეკლამისთვის ათჯერ მეტს ახდევინებდა ვიდრე კომერციული რეკლამისთვის. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ტარიფების შემცირების გზით, კანდიდატებისთვის პოლიტიკური რეკლამა უფრო ხელმისაწვდომი გახადა, თუმცა მათი ტარიფი მაინც ორჯერ აღემატებოდა კომერციული რეკლამის ტარიფს. მიხეილ სააკაშვილი ერთადერთი კანდიდატი იყო, რომელმაც ფასიანი რეკლამები ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელ ოთხივე ტელეკომპანიის ეთერში განათავსა<sup>23</sup>.

6 იანვარს ბატონმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ სამმა ტელეკომპანიამ - „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელმა“, „რუსთავი 2“-მა და „მზე“-მ არ მისცა პირდაპირი ეთერი არჩევნების შემდეგ განცხადების გასაკეთებლად (ეს განცხადება უარის მიღების შესახებ გადაიცა ტელეკომპანიების „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და „რუსთავი 2“-ის ეთერით). 8 იანვარს მან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეზოში გამართა მიტინგი, რათა გამოეხატა პროტესტი „სამი ტელეკომპანიის მედიატერორის“ წინააღმდეგ და ასევე გამოეცხადებინა შიმშილობის დაწყება. გაჩეჩილაძემ ითხოვა პირდაპირი ეთერი, რათა მიემართა საზოგადოებისათვის და გამოთქვა შიში იმასთან დაკავშირებით, რომ მისი განცხადება წინასწარი ჩაწერის შემთხვევაში, შესაძლო იყო დამონტაჟებული გადაეცათ. მას ამის საშუალება 10 იანვარს მიეცა, როდესაც ის და ოთხი საპრეზიდენტო კანდიდატი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა პირდაპირ ეთერში „თოქ-შოუში“ მონაწილეობის მისაღებად მიიწვია.

## X. ქალთა მონაწილეობა

არ არსებობს არც სამართლებრივი ბარიერები, რაც ხელს შეუშლიდა ქალების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას, და არც რაიმე სამართლებრივი დებულება, რაც ხელს შეუწყობდა მათ მონაწილეობას. საქართველო შეუერთდა გაერო-ს კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში გამოჩენილი პოლიტიკოსი ქალი ცოტაა, უმცირესობაში მყოფი სქესი მაინც ნაკლებად არის წამოდგენილი პოლიტიკურ ცხოვრებაში და საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლეს თანამდებობებზე.

---

ინფორმაცია: რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო, ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი, საეთერო დროის ტარიფი და გაწეული მომსახურება.

<sup>23</sup> ბატონი მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის მიერ ცესკოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მის სატელევიზიო რეკლამებზე და მათ დამზადებაზე 12.5 მილიონი ლარი (დაახლოებით 5.4 მილიონი ევრო) დაიხარჯა ([http://www.civil.ge/eng\\_/article.php?id=16927](http://www.civil.ge/eng_/article.php?id=16927)).

ირინა სარიშვილი იყო უმცირესობაში მყოფი სქესის ერთადერთი წარმომადგენელი საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. ცესკოს 13 წევრს შორისაც მხოლოდ ერთი ქალბატონია. ცესკოს მონაცემთა თანახმად გენდერული ბალანსი შედარებით თანაბარი იყო საოლქო საარჩევნო კომისიებში (42 პროცენტი იყო ქალი), საუბნო საარჩევნო კომისიებიც მეტწილად ქალებით იყო დაკომპლექტებული (50 პროცენტი). არჩევნების დღეს არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა 55 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ორიმესამედი ქალები იყვნენ.

## XI. ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის<sup>24</sup> მიხედვით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16 პროცენტს შეადგენს. ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი). სხვა ეროვნულ უმცირესობებს წარმოადგენენ რუსები, ოსები, ბერძნები, ჩეჩნები, ებრაელები, აფხაზები და ქურთები. არის რომას მოსახლეობაც, მაგრამ ის ოფიციალურად არ არის აღიარებული, როგორც უმცირესობა. რომას მოსახლეობის რაოდენობა გაურკვეველია. ეროვნულ უმცირესობათა ყველაზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (სომხები), ქვემო ქართლში (აზერბაიჯანელები და სომხები) და კახეთის ზოგიერთ ნაწილში (აზერბაიჯანელები).

ეროვნულ უმცირესობებს კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ სრული პოლიტიკური უფლება, ასევე უფლება „გამოიყენონ თავიანთი მშობლიური ენა პირად საუბრებში და საჯაროდ.“ საქართველო შეუერთდა საერთაშორისო კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვის შესახებ და რატიფიცირება გაუკეთა ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას ეროვნული უმცირესობების დაცვის თაობაზე.

მაშინ როდესაც საარჩევნო კოდექსის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები „თავისუფლად უნდა ფლობდნენ საქართველოს სახელმწიფო ენას“, ასეთი მოთხოვნა არ ვრცელდება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებზე. ეროვნული უმცირესობები ზოგადად იშვიათად იყვნენ წარმოდგენილი საოლქო საარჩევნო კომისიებში ქვეყნის უმეტეს ნაწილში, სადაც ისინი დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი. ცესკომ იმ რეგიონის საუბნო საარჩევნო კომისიებს, სადაც ეროვნული უმცირესობები დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი, მიაწოდა საარჩევნო მასალები, ბიულეტენები, ამომრჩეველთა სიები, და საარჩევნო კოდექსი, ოქმები და ტრენინგის მასალები რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ოსურ ენებზე, მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებს მასალები, ბიულეტენების ჩათვლით, მხოლოდ უმცირესობების ენაზე

<sup>24</sup> მოსახლეობის აღწერა არ მოიცავდა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებს.

ჰქონდათ, და ეთნიკურად ქართველი ამომრჩეველი და საარჩევნო ადმინისტრაცია ცუდ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული.

საუბნო საარჩევნო კომისიების პირთა ტრენინგი ზოგიერთ შემთხვევაში ტარდებოდა უმცირესობის ენაზე ან თარგმანის მეშვეობით, თუმცა ამას სისტემატიზირებული სახე არ ჰქონია. უმცირესობათა ენებზე საარჩევნო მასალების გვიანმა მიწოდებამ ისინი ნაკლებად გამოსადეგი გახადა, რადგან იგი ტრენინგების მსვლელობისას არ იყო ხელმისაწვდომი. ის პრობლემები, რაც არჩევნების დღეს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაფიქსირდა, შეიძლება ნაწილობრივ ასახავდეს ტრენინგის ნაკლოვანებებს უმცირესობით დასახლებულ ტერიტორიებზე.

## **XII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები**

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა აძლევს უფლებას ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს დააკვირდნენ მთელ საარჩევნო პროცესს. თუმცა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა წინასწარ უნდა განაცხადონ იმის თაობაზე, თუ რომელ უბანზე დააკვირდება თითოეული მისი დამკვირვებელი არჩევნებს.

ამ არჩევნებისთვის ცესკომ 34 ადგილობრივი არაპარტიული ორგანიზაციის, 50 საერთაშორისო ორგანიზაციისა და 18 საელჩოს დამკვირვებელი დაარეგისტრირა. ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის ყველაზე მასშტაბური სადამკვირვებლო მისია განახორციელა სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელიც გრძელვადიან დაკვირვებას თბილისსა და რეგიონებში აწარმოებდა და არჩევნებამდე ხუთი ანგარიში გამოაქვეყნა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება არჩევნებს 3,000 საარჩევნო უბანზე აკვირდებოდა და პარალელურ ხმათა შეჯამებას აწარმოებდა. პარალელურ ხმათა შეჯამებას ასევე აწარმოებდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“, რომელიც დიდ ქალაქებში მონიტორინგს საუბნო საარჩევნო კომისიებში ახორციელებდა. მომდევნო დიდი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ აქტიურობდა ცესკოსა და სასამართლოებში სხვადასხვა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით საჩივრების შეტანის თვალსაზრისით. არჩევნების დღეს დარღვევებთან დაკავშირებით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 230-მდე საჩივარი შეიტანა.

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას წინასაარჩევნო პერიოდში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დამკვირვებლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების თაობაზე ეცნობა. მსგავსი ფაქტები დაასახელა ორგანიზაციამ ქობულეთში, ლაგოდეხსა და ხელვაჩაურში. აჭარაში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა დააშინეს. დაიწყო გამოძიება და ეს პიროვნება კამპანიას ჩამოაშორეს.

### XIII. საჩივრები და განცხადებები

საარჩევნო კოდექსი არჩევნებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურებს არეგულირებს და იძლევა იმის უფლებას, რომ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ და საარჩევნო კოდექსის დარღვევების თაობაზე საჩივრები და განცხადებები შევიდეს როგორც ზემდგომ საარჩევნო კომისიებში, ისე სასამართლოებში<sup>25</sup>. კანონის ეს მოთხოვნები განსაკუთრებით რთული და შეუსაბამოა, რის გამოც მომჩივნებს, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებს დიდი ჯაფა ადგებოდათ მათი ინტერპრეტაციისა და გამოყენებისთვის. უფრო მეტიც, საჩივრებისა და განცხადებების განხილვისთვის მოთხოვნები ხშირად არ მოიცავს მინიმალურ სამართლებრივ გარანტიებს, მაგალითად, როგორცაა ღია და გამჭვირვალე განხილვებისა და სასამართლო პროცესების უფლება, ასევე უფლება წერილობითი გადაწყვეტილებაზე სადაც ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები იქნება მოცემული. ზოგ შემთხვევაში, ერთი და იგივე საჩივარი შედიოდა როგორც საარჩევნო ადმინისტრაციაში, ისე სასამართლოებში.

მიუხედავად იმის მტკიცებისა, რომ არსებობდა არჩევნებთან დაკავშირებული მრავალი დარღვევა, გაცილებით მცირე რაოდენობის ოფიციალური საჩივარი შევიდა საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში. ცოტა საჩივარი შევიდა საოლქო საარჩევნო კომისიებსა და საოლქო სასამართლოებში, საჩივრების დიდი რაოდენობა თბილისზე მოდიოდა<sup>26</sup>. ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ეს მოვლენა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიერ საქმის მიუკერძოებლად განხილვისადმი უნდობლობით, ასევე სასამართლოში საქმის შეტანისთვის საჭირო მაღალი სახელმწიფო ბაჟის<sup>27</sup> არსებობით ახსნეს. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ მოსახლეობას ეშინოდა პოლიტიკურად მოტივირებული დარღვევების შესახებ საჩივრების შეტანა და ჩვენების მიცემა. ზოგიერთ მომჩივანს არ ჰქონდა სათანადო განათლება და შესაძლებლობები, რაც ეფექტიანი საჩივრების შედგენისა და წარდგენისთვის არის აუცილებელი. უფრო მეტიც, საარჩევნო ადმინისტრაციამ ვერ შეძლო გამოეყენებინა თავისი უფლებამოსილება თავისი ინიციატივით გამოეძიებინა სერიოზული პრეტენზიები.

ცესკომ და სასამართლოებმა ოპოზიციური პარტიებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიიღეს საჩივრები სახელმწიფო და ადმინისტრაციული

<sup>25</sup> 77-ე მუხლი, ასევე 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 61-ე და 62-ე მუხლები არეგულირებს საჩივრებისა და განცხადებების შეტანის პროცედურებს.

<sup>26</sup> წინასაარჩევნო პერიოდში ცესკოში შევიდა დაახლოებით 31 საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოში - 19 საქმე და თბილისის სააპელაციო სასამართლოში - 6.

<sup>27</sup> სახელმწიფო ბაჟი საქალაქო სასამართლოებთან მიმართებით არის 100 ლარი (43 ევრო), ხოლო სააპელაციო სასამართლოებთან მიმართებით - 150 ლარი (65 ევრო), რაც ძალიან მაღალია, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას.

რესურსების არამიზნობრივი გამოყენების, ასევე მმართველი პარტიის კანდიდატის მიერ ხმების მოსყიდვის თაობაზე. საჩივრებში კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას მოითხოვდნენ. ასევე შევიდა საჩივრები იმის თაობაზე, რომ საჯარო მოხელეები ეწეოდნენ აკრძალულ კამპანიას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. კამპანიასთან დაკავშირებით შესული თითქმის ყველა საჩივარი მმართველი პარტიის კანდიდატის ან თანამდებობის პირების წინააღმდეგ იყო. როგორც ცესკო, ასევე სასამართლოები ცდილობდნენ მოერგოთ კანონი, გონივრული ინტერპრეტაციისა და მისი არსის გაუთვალისწინებლად, მმართველი პარტიის კანდიდატისა და თანამდებობის პირების სასარგებლოდ. სამართლებრივი ინტერპრეტაციის პრინციპი ხშირად არ იყო დაცული, გამოიყენებოდა შეუსაბამო მსჯელობა. ზოგიერთი საჩივარი დაუშვებლად გამოცხადდა ყოველგვარი რეალური სამართლებრივი საფუძვლის არქონის მიუხედავად.

საჩივრების განხილვისას ცესკომ ვერ მისდია ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ მნიშვნელოვან პროცედურებს<sup>28</sup>. ცესკოს მიერ დადგენილი მარეგულირებელი ნორმები არაადეკვატურ საშუალებებს გვთავაზობს საჩივრების განხილვისთვის. ხანდახან გადაწყვეტილებას საჩივრებზე ერთპიროვნულად იღებდა ცესკოს თავმჯდომარე და არა კომისია, როგორც კოლეგიალური ორგანო<sup>29</sup>. ცესკოს წინაშე წარდგენილი საჩივრების უმრავლესობა არასათანადოდ იქნა გამოძიებული. როგორც ჩანს, ცესკოს წევრებს არ გააჩნდათ საჩივრების განხილვის გამოცდილება და, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებს პოლიტიკურ ინტერესებზე აფუძნებდნენ. საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული სხდომებს აკლდა სრული გამჭვირვალობა, ვინაიდან, არ ხდებოდა საკითხების, ფაქტებისა და კანონმდებლობის ნათლად და სრულყოფილად განხილვა. ცესკოს იურისტები მიკერძოებულად ახდენდნენ საქმეებისა და სამართლებრივი დასკვნების კომისიისათვის წარდგენას, ვინაიდან, მათი სამართლებრივი დასკვნები, ხშირ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი და მმართველი პარტიის კანდიდატისა და ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა სასარგებლოდ იყო ჩამოყალიბებული.

კამპანიასთან დაკავშირებული ყველა საქმის თაობაზე ცესკოს წევრები ხმას თავიანთი პარტიის პრინციპიდან გამომდინარე აძლევდნენ, ოპოზიციური პარტიის მიერ დანიშნული 6 წევრი კი, მხარს მმართველი პარტიის კანდიდატისა და თანამდებობის პირის საარჩევნო კანონის დარღვევაში დადანაშაულების სასარგებლოდ. შვიდი დანარჩენი წევრი კი, ხმას წინააღმდეგ აძლევდა. საჩივრებთან დაკავშირებით ცესკოს გადაწყვეტილებები არ იყო დაფუძნებული სამართლებრივ არგუმენტაციაზე. მათში მოცემული იყო მხოლოდ ის ინფორმაცია იმის თაობაზე,

<sup>28</sup> არჩევნებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც უნდა მოიძებნებოდეს არჩევნებთან დაკავშირებული უფლებების ფართო სპექტრში, ასევე პრინციპებს, რომლებიც უკავშირდება სამართლიან პროცესსა და სასამართლოს დამოუკიდებლობას.

<sup>29</sup> საარჩევნო კოდექსის 29-ე მუხლის „ფ“ პუნქტი ადგენს, რომ ცესკო (როგორც კომისია) იღებს გადაწყვეტილებას არჩევნებთან დაკავშირებული განცხადებებისა და საჩივრების თაობაზე.

საჩივარი მიღებული იქნა თუ არა. მომჩივნებს ასევე არ ეცნობებოდათ მათი უფლების თაობაზე გადაწყვეტილება სასამართლოში გაესაჩივრებინათ.

ცესკოში შესული რამდენიმე საჩივარი, რომლებშიც მმართველი პარტიის კანდიდატის მიერ სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივ გამოყენებაზე იყო საუბარი, არ იქნა მიღებული ცესკოს იურისტის უსაფუძვლო სამართლებრივი ინტერპრეტაციის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსი აშკარად უკრძალავს კანდიდატებს წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისათვის იმ ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებას, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ცესკოს იურისტის გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო, რომ ეს მოთხოვნა ვრცელდებოდა იმ კანდიდატებზე, რომლებიც ოფიციალურ თანამდებობებზე იმყოფებოდნენ<sup>30</sup>. ცესკოს იურისტის მიხედვით, რადგან ბატონი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა, მას აღარ ეკრძალებოდა თავისი კამპანიისთვის სახელმწიფო რესურსების გამოყენება. ეს ინტერპრეტაცია უარყოფს მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც თანაბარ საარჩევნო პირობებს უზრუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები არჩევნებთან დაკავშირებული საქმეების განხილვებს ზოგადად ღიად ატარებდნენ, პროფესიულ და სრულყოფილ დონეზე, ზოგიერთ წერილობით განაჩენში არ იყო მოცემული საკმარისი სამართლებრივი დასაბუთება, ბევრს აკლდა გონივრული სამართლებრივი საფუძველი<sup>31</sup>. ბატონი მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი არცერთი საქმე არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ როდესაც მმართველი პარტიის მიერ შეტანილი ერთი საჩივარი კოსოვოსა და ერაყში მყოფი ქართველი ჯარისკაცებისთვის საარჩევნო უბნის არგახსნასთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა. კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სასამართლო სისტემის შესაძლებლობა იფუნქციონიროს, როგორც დამოუკიდებელმა ორგანომ არჩევნებთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადასაჭრელად.

ერთი საქმე, რომელიც ბატონი მიხეილ სააკაშვილის მიერ ხმების მოსყიდვის ბრალდებას შეეხებოდა, ნაწილობრივ გასართობი პარკის უფასო ბილეთების თავის საარჩევნო მასალებთან დარიგების გამო, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა უსაფუძვლო სამართლებრივი დასაბუთებით. მიუხედავად იმისა, რომ კანონი აშკარად უკრძალავს კანდიდატებს „ამომრჩევლებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემას“<sup>32</sup>, სასამართლომ დაასკვნა, რომ კანდიდატებს არ ეკრძალებათ ეს, იმ შემთხვევაში, თუ ნივთებს არ აქვთ დიდი მატერიალური ღირებულება, არ ხდება მათი დარიგება მასშტაბურად და რომ ყველა კანდიდატს აქვს იგივე შესაძლებლობა უფასოდ დაარიგოს ნივთები.

<sup>30</sup> საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის 1-ლი პუნქტი შემთხვევით არის გაერთიანებული ფართო სათაურის ქვეშ: „წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისა თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა“.

<sup>31</sup> ამ შემთხვევებში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას არ მიეწოდა სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა.

<sup>32</sup> საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

მეორე შემთხვევაში, სასამართლომ მხარი დაუჭირა ცესკოს გადაწყვეტილებას იმასთან დაკავშირებით, რომ დანიშნულ თანამდებობის პირებს არ ეკრძალებათ ერთმანეთს შეუთავსონ თავიანთი ოფიციალური მოვალეობები საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას. მსგავს საჩივარში (რამდენიმე სხვა საჩივარი ცესკოში შევიდა) პროტესტს გამოთქვამდნენ მომხდარის მიმართ, როდესაც ბევრი მაღალი თანამდებობის პირი ღიად უჭერდა მხარს ბ-ნი სააკაშვილის კამპანიას თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. საარჩევნო კოდექსი კრძალავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეთა მონაწილეობას საარჩევნო აგიტაციაში სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას<sup>33</sup>. მაშინ, როდესაც კანონი საჯარო სამსახურის შესახებ<sup>34</sup>, რომლის მიხედვითაც, ყველა თანამდებობის პირი, რომელიც ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს, ითვლება საჯარო მოხელედ, ცესკოს იურისტის მსჯელობა და სასამართლოს მიერ ამის მხარდაჭერა სამარტლებრივად უსაფუძვლო იყო.

განცხადებები შევიდა სხვადასხვა სამართალდამცავ და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც განმცადებლები პრეტენზიებს გამოთქვამდნენ დაშინების, საფრთხეებისა და თავდასხმების ფაქტებზე ოპოზიციის მხარდამჭერებზე და მათი ოჯახის წევრებზე. ამასთან, ზოგიერთ ასეთ ფაქტში სამართალდამცველებიც მოიაზრებოდნენ. პოლიცია სრულყოფილად არ იძიებდა ასეთ საჩივრებს და შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ბევრი საქმე სამხილის არარსებობის გამო დაიხურა. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია არ არის ინფორმირებული არც ერთი სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე, რომელიც ასეთი საქმეების შემთხვევაში აღიძრა.

რაც შეეხება პოზიტიურ მხარეს, ადგილი ჰქონდა ბევრ წამოწყებას, რომლებიც საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსირდებოდა და მიზნად ისახავდა პროკურორებისა და მოსამართლეების ტრენინგებს საარჩევნო კანონის საკითხებში და იმ საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, რაც გამოდიებასა და არჩევნებთან დაკავშირებით დანაშაულის გამოძიების კუთხით არსებობს. საჩივრების მიღების მიზნითა და/ან არჩევნების საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარებისა და კონსულტაციის გაწევის მიზნით, ცესკოში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში საჩივრების ცხელი ხაზი ფუნქციონირებდა.

#### XIV. ხმის მიცემა და ხმების დათვლა

არჩევნების დღეს ეუთო-ს წევრი 44 სახელმწიფოდან არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის 495 დამკვირვებელი იქნა განლაგებული, რომლებიც 175 საარჩევნო უბნის გახსნას, 3,511 საარჩევნო უბნიდან 1,770 უბანზე ხმების მიცემასა და

<sup>33</sup> საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>34</sup> საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 1-ლი-მე-5 მუხლები.

180 საარჩევნო უბანზე ხმათა დათვლას დააკვირდნენ. არჩევნების დღე ზოგადად მშვიდობიანი იყო. საარჩევნო უბანთა დიდ ნაწილში ხმის მიცემის პროცესი ხანდახან დეზორგანიზებული და ქაოსური იყო. უფრო სერიოზული პრობლემები ხმების დათვლისას დაფიქსირდა.

#### ა. უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცედურები

მიუხედავად ბევრი პროცედურული პრობლემისა, საარჩევნო ყუთის დალუქვის (6 პროცენტი) და საკონტროლო ფურცლების არ ჩაყრის (5 პროცენტი) ჩათვლით, მონახულებული საარჩევნო უბნის 88 პროცენტში გახსნითი პროცედურები ზოგადად შეფასდა, როგორც კარგი ან ძალიან კარგი. გახსნისას არაუფლებამოსილი პირების არსებობა საარჩევნო უბნების 15 პროცენტში დაფიქსირდა, თუმცა დამკვირვებლებმა ასეთი პირების პროცესში ჩარევის მხოლოდ ორი შემთხვევა დააფიქსირეს. საარჩევნო უბნების 15 და 19 პროცენტში დამკვირვებლებმა შენიშნეს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიამ ოქმში არ შეიტანა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვი ან მიღებულ ბიულეტენტა რაოდენობა. გახსნის მომენტში მონახულებულ საარჩევნო უბანთა სამ პროცენტში საუბნო საარჩევნო კომისიას არ ჰქონდა მიღებული ყველა საჭირო საარჩევნო მასალა. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს გახსნისას მცირე შეყოვნება საარჩევნო უბანთა 35 პროცენტში.

არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმის მიცემის პროცესი საარჩევნო უბანთა 92 პროცენტში შეაფასეს, როგორც კარგი ან ძალიან კარგი. თუმცა აღინიშნებოდა სხვადასხვა რეგიონალური ვარიაციები - სამცხე-ჯავახეთში 19 პროცენტი შეფასდა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი, კახეთში - 12 პროცენტი, და ქვემო ქართლში - 10 პროცენტი. ამათგან განსხვავებით ყველა საარჩევნო უბანი მცხეთა-თიანეთის რეგიონში შეფასდა, როგორც კარგი ან ძალიან კარგი. ქვეყნის მასშტაბით საუბნო საარჩევნო კომისიათა მუშაობა და როგორც მათ მიერ, ისე ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის პროცედურების ცოდნა უაღრესად დადებითად შეფასდა.

საერთო დადებითი შეფასების მიუხედავად, გარემოებები საარჩევნო უბნების შიგნით და გარეთ ხშირად შეფასდა, როგორც პრობლემური. საარჩევნო უბნების 12 პროცენტი ხშირად გადაჭედული იყო ხალხით, საარჩევნო უბნების 18 პროცენტის გარეთ კი, დიდი რაოდენობით ამომრჩეველი თავის რიგს ელოდებოდა. საარჩევნო უბნების 11 პროცენტის ადგილმდებარეობა არ იყო ხელმისაწვდომი ამომრჩევლებისთვის. მონახულებული საარჩევნო უბნების 7 პროცენტის შენობა არ იყო ადეკვატური არჩევნების ჩასატარებლად.

უბანთა 2 პროცენტში შეინიშნებოდა დამაბულობა საარჩევნო უბნების გარეთ, შიგნით კი - უბანთა 4 პროცენტში. ბევრი საარჩევნო უბნის გარეთ დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ავტობუსები, რომლებსაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები ხმის მიცემის მიზნით გადაყავდა. მონახულებული საარჩევნო უბნების 3 პროცენტში დაფიქსირდა კამპანიის მასალები უბნის შიგნით, რაც კანონის

დარღვევა. ასევე, საარჩევნო უბნების სამ პროცენტში აღინიშნა პიროვნებების არსებობა, რომლებიც ამომრჩევლებზე ზემოქმედების მოხდენას ცდილობდნენ.

ყველაზე ფართომასშტაბიანი პროცედურული დარღვევა დაკავშირებული იყო მარკირების პროცესთან. არ ხდებოდა ყველა ამომრჩევლის შემოწმება მონახულებული საარჩევნო უბნების 15 პროცენტზე, ხოლო 12 პროცენტზე ყოველთვის არ გამოიყენებოდა მარკირების სითხე. ამას გარდა, არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ მონახულებულ 14 საარჩევნო უბანზე, უკვე მარკირებულ ამომრჩევლებს ხმის ხელახალი მიცემის საშუალება ეძლეოდათ. სხვა დარღვევები შეეხებოდა იდენტურ ხელმოწერებს (4 პროცენტი), ერთი და იმავე პირის მიერ რამდენჯერმე ხმის მიცემას და ამომრჩევლის ნაცვლად მისი ნდობით აღჭურვილი პირის გამოცხადებას ხმის მისაცემად (1 და 2 პროცენტი, შესაბამისად), ასევე ოჯახურ კენჭისყრას (5 პროცენტი). საარჩევნო უბნების 3 პროცენტზე საარჩევნო ყუთები არ იყო სათანადოდ დალუქული. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხუთჯერ გახდნენ ბიულეტენების საარჩევნო ყუთებში ჩაყრის მოწმენი, ასევე ხუთჯერ დაფიქსირდა ე.წ. „კარუსელი“ ხმის მიცემისას.

ხმის მიცემის ფარულობა ყოველთვის არ იყო დაცული. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ყველა ამომრჩეველს ბიულეტენი ფარულად არ შემოუხაზავს. საარჩევნო უბნების 34 პროცენტი, რომელთა მონახულება არჩევნების დღეს მოხდა, ვიდეოკამერებით იყო აღჭურვილი. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მსგავსად აღჭურვილი საარჩევნო უბნების 11 პროცენტში (ანუ 63 საარჩევნო უბანი) ვიდეოკამერები ისე იყო დამონტაჟებული, რომ ხმის მიცემის ფარულობა არ იყო უზრუნველყოფილი.

არჩევნების დღეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მიერ მონახულებულ საარჩევნო უბნებში, ამომრჩეველთა 5 პროცენტი, რომლებმაც ხმა მისცეს, არჩევნების დღეს შეიყვანეს დამატებით სიებში. უბანთა 2 პროცენტში ამომრჩევლები შეიყვანეს დამატებით სიებში იმის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის გარეშე, რომ ისინი რეგისტრირებული იყვნენ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე. საარჩევნო უბანთა 2 პროცენტში ამომრჩევლებს არ მისცეს ხმის მიცემის უფლება შეუსაბამო მიზეზის გამო. საარჩევნო უბნების 11 პროცენტში დამკვირვებლებმა აღნიშნეს მოქალაქეთა უკან გაბრუნების შემთხვევები იმ მიზეზით, რომ ისინი არ აღმოჩნდნენ უბნის ამომრჩეველთა სიაში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ფენომენი სულ ცოტა იმით არის გამოწვეული, რომ მოხდა უბნების არეალის შეცვლა, იგი ხაზს უსვამს საერთო ამომრჩეველთა სიის გაუმჯობესების საჭიროებას.

არაუფლებამოსილი პირების, უმეტეს შემთხვევაში პოლიციის, არსებობა დაფიქსირდა საარჩევნო უბანთა 8 პროცენტში. 18 შემთხვევაში ასეთი პირები ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობაში ან იძლეოდნენ მითითებებს. ადგილობრივი უპარტიო დამკვირვებლები მონახულებული საარჩევნო უბნებიდან

94 პროცენტში იყვნენ წარმოდგენილი, კანდიდატთა წარმომადგენლები კი - 96 პროცენტში. ხშირად წარმომადგენელთა რაოდენობა თითო კანდიდატზე აჭარბებდა საარჩევნო კომისიის მიერ გათვალისწინებულ რაოდენობას. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ადგილობრივი დამკვირვებლები ხანდახან მონაწილეობას იღებდნენ საარჩევნო პროცესში და ამით საუბნო საარჩევნო კომისიათა საქმიანობაში ერეოდნენ.

## **ბ. ხმების დათვლის პროცედურები**

ხმების დათვლა ხმის მიცემის პროცესთან შედარებით ნაკლებად პოზიტიურად შეფასდა. არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმათა დათვლის 23 პროცენტი შეაფასეს, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. პროცედურების დაცვა შეფასდა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი 17 პროცენტში, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ პროცედურების ცოდნა და მათი მუშაობა უარყოფითად შეფასდა ხმათა დათვლის პროცესის 18 და 17 პროცენტში. საარჩევნო უბნების უმეტესობაში ხმის დათვლის პროცესი ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობდა.

არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების განცხადებით, ხმების დათვლის პროცესის 8 პროცენტი იმ უბნებზე, რომლებსაც ისინი დააკვირდნენ, ადგილი ჰქონდა ამომრჩევთა სიის, არჩევნების შედეგების ან კენჭისყრის ოქმების შედეგების შეცვლის ფაქტებს. ხმათა დათვლის 21 პროცენტში ისინი მიუთითებდნენ მნიშვნელოვან პროცედურულ შეცდომებსა და გამოტოვებებზე. საუბნო საარჩევნო კომისიათა 35 პროცენტმა ხმათა დათვლის სხვადასხვა ეტაპი დადგენილი წესის მიხედვით არ შეასრულა.

საუბნო საარჩევნო კომისიათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ დაიცვა ძირითადი შედარების პროცედურა საარჩევნო ყუთების გახსნამდე. ამით საუბნო საარჩევნო კომისიათა 12 პროცენტმა არ დაითვალა ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ერთიან და სპეციალურ ამომრჩეველთა სიაში, 17 პროცენტმა კი, არ დაითვალა ხელმოწერები ამომრჩეველთა სიის დანართებში, რომლებიც გადასატანი საარჩევნო ყუთებით ხმის მიცემისთვის გამოიყენება. საარჩევნო ყუთების გახსნამდე ოქმებში ხშირად არ შეჰქონდათ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. საუბნო საარჩევნო კომისიათა 19 პროცენტმა არ შეიყვანა იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც ხმა მისცეს, 18 პროცენტმა არ შეიყვანა გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა.

ხმათა დათვლის 2 პროცენტის შემთხვევაში საარჩევნო ყუთების ლუქები არ იყო ხელუხლებელი, სხვა 2 პროცენტში საკონტროლო ფურცლები არ იყო მასში ჩაყრილი. ხმათა დათვლის 3 პროცენტში ჩაგდებული საკონტროლო ფურცლები განსხვავდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიაში უბნის გახსნისას შენახული საკონტროლო ფურცლის ასლისგან.

ხმათა დათვლის 46 პროცენტის შემთხვევაში არჩევანის გამოცხადება ხმათა

დათვლის დროს ხმამალა არ ცხადდებოდა და ხანდახან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დამკვირვებლებს არ აძლევდნენ ბიულეტენების შემოწმების უფლებას, რაც კანონის დარღვევაა. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ბიულეტენის ბათილობის დადგენა არ იყო ყოველთვის რაციონალური ხმათა დათვლის 9 პროცენტის შემთხვევაში. საარჩევნო უბანთა 12 პროცენტი, სადაც ხმათა დათვლაზე დაკვირვება განხორციელდა, საუბნო საარჩევნო კომისიებმა არ გამოაცხადეს და არ შეიტანეს ოქმში ბათილი ბიულეტენების რაოდენობა.

კანდიდატთა წარმომადგენლები საარჩევნო უბნების 97 პროცენტში იყვნენ წარმოდგენილი, ადგილობრივი, არაპარტიული დამკვირვებლები კი - 98 პროცენტში. არაუფლებამოსილი პირების არსებობა დაფიქსირდა ხმათა დათვლის 7 პროცენტში. საარჩევნო უბნების 18 პროცენტში ხმათა დათვლის პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების გარდა სხვა პირებიც მონაწილეობდნენ.

სამი საუბნო საარჩევნო კომისიიდან ერთს ჰქონდა პრობლემა კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შევსებასთან დაკავშირებით, საუბნო საარჩევნო კომისიათა 19 პროცენტმა კი, შეასწორა ოქმში ადრე შეტანილი რიცხვები. იშვიათად ოქმები წინასწარ იყო ხელმოწერილი (6 პროცენტი) და პასტის ნაცვლად ფანქრით იყო შევსებული. რამდენიმე შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა განსხვავებული მოსაზრება ხმათა დათვლასთან დაკავშირებით შეიტანეს საუბნო საარჩევნო კომისიის ჩანაწერთა წიგნში ან იმ ადგილას, სადაც მათ უარი განაცხადეს კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის ხელმოწერაზე.

საარჩევნო უბანთა 29 პროცენტში არ მოხდა შემაჯამებელი ოქმების საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილას გამოკვრა, რამაც პროცესის გამჭვირვალობა შეამცირა. თუმცა დამკვირვებლებსა და კანდიდატთა წარმომადგენლებს, მოთხოვნის საფუძველზე, ოქმთა ასლები ეძლეოდათ (საქმეთა 96 პროცენტზე მოხდა დაკვირვება).

## XV. ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე ხმების შეჯამების პროცესი შეაფასეს როგორც ნელი, არასათანადოდ ორგანიზებული და ხშირად ქაოსური. ხმების შეჯამებისას ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში ისინი დაძაბული ატმოსფეროს არსებობაზე მიუთითებდნენ. ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის მიწოდებული ოქმები განსხვავდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიწოდებული ოქმებისგან. მაგალითად, ბათუმის (#11 და #73 საუბნო საარჩევნო კომისიები), ლენტეხისა (#1 საუბნო საარჩევნო კომისია) და დმანისის (#30 საუბნო საარჩევნო კომისია) საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიწოდებულმა ოქმებმა ბატონი სააკაშვილის სასარგებლოდ მიცემულ ხმათა საგრძნობი ზრდა აჩვენა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა - ახალი ინიციატივის“ დამკვირვებლებმა აცნობეს OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას იმის თაობაზე, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებმა ხშირად არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა შეეცნოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები. ნინოწმინდის #41 საოლქო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები, რომლებიც OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შეამოწმა, ერთი და იმავე პირის მიერ იყო შედგენილი. იყო შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიებმა შეასწორეს საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები. ასეთი ოქმები დაიდო ცესკოს ვებ-გვერდზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავდაპირველი ოქმების გვერდიგვერდ და შეეხებოდა ნინოწმინდის #5, #22, #24 და #35 საუბნო საარჩევნო კომისიებს. ამ ქმედებას ადგილი ჰქონდა იმისდა მიუხედავად, რომ კანონი ცალსახად არ ითვალისწინებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებში ცვლილებების შეტანას. საარჩევნო კოდექსის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიების როლი ხმების შეჯამების პროცესში შეზღუდულია.

არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიისა და ადგილობრივი ობიექტური დამკვირვებლების თანახმად, ბევრ ოქმში არ იყო შეტანილი აუცილებელი იფორმაცია, ან აკლდა საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ხელმოწერები. მონაცემები ხშირად არ იყო თანმიმდევრული. ცესკოს თანამშრომლებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს იმის თაობაზე, რომ 3,511 საუბნო საარჩევნო კომისიიდან დაახლოებით 940 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა მიერ მიცემულ ხმათა რაოდენობა არ შეესაბამებოდა ნამდვილი და ბათილი ხმების ჯამს.

არჩევნების დღეს დამატებით სიებში დაახლოებით 85,000 ამომრჩეველი შევიდა. 930 საუბნო საარჩევნო კომისიამ დამატებით სიებში შეყვანილ პირთა ხმები თვითონ არ დაითვალა, რის უფლებასაც მას კანონი აძლევს, და ისინი ცესკოში გააგზავნა, რომელმაც მათი დათვლა 7 იანვარს გადაწყვიტა<sup>35</sup>. 8 იანვარს ცესკოს წევრებითა და მისი თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა რამდენიმე ჯგუფმა ხმების დათვლა დაიწყო. ხმების დათვლა ქაოსურ გარემოში მიმდინარეობდა. დამთვლელი ჯგუფები არ იყენებდნენ ერთიან პროცედურებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ბიულეტენის ბათილობის დადგენას შეეხებოდა.

OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის რამდენიმე საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული ბიულეტენების დიდი რაოდენობა იდენტურად იყო შევსებული, რაც უკანონო ქმედების ჩადენის ეჭვს აღძრავდა. ასეთ შემთხვევებში, ერთის გარდა ყველა კანდიდატის ნომერი იყო შემოხაზული, ან კიდევ, იდენტურად, ერთის გარდა ყველა სახელი იყო გადახაზული. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა #6 საოლქო საარჩევნო კომისიაში (#54 და #56 საარჩევნო უბნები), #32 საოლქო საარჩევნო კომისია (#81 საარჩევნო უბანი), #60 საოლქო საარჩევნო კომისია (#41 საარჩევნო

<sup>35</sup> კანონის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილება, დათვალოს არჩევნების დღეს დამატებით სიებში შეყვანილ ამომრჩეველთა ბიულეტენები, მიიღება კომისიის ხმათა ორი მესამედით. ცესკოც იგივე პროცედურას იყენებს.

უბანი) და #61 საოლქო საარჩევნო კომისია (#16 საარჩევნო უბანი). მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ასეთი ბიულეტენი გაუქმდა, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ბიულეტენები არ მიიჩნეის ბათილად ცესკოს ახალი განკარგულების - „დამატებითი სიების მიხედვით მიცემული ხმების ცესკოში დათვლილი ბიულეტენების ბათილად ჩათვლის შესახებ“ - საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა მხოლოდ 10 იანვარს, მაშინ როდესაც დათვლის პროცესი ცესკოში დიდი ხნის დაწყებული იყო. აღნიშნული განკარგულება უფრო თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა ბიულეტენის ბათილობის დადგენასთან მიმართებით, ვიდრე საარჩევნო კოდექსი.

ზოგიერთმა საუბნო საარჩევნო კომისიამ არ გააგზავნა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები ბიულეტენებთან ერთად, როგორც ამას კანონმდებლობა<sup>36</sup> ითხოვს, თუმცა ბიულეტენები მაინც იქნა დათვლილი. ცესკომ შეადგინა მხოლოდ ერთი ზოგადი ოქმი ყველა იმ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის, რომლებმაც გააგზავნეს არჩევნების დღეს დამატებითი სიებით ხმის მიცემის ბიულეტენები, რომლებშიდაც არ იყო მოცემული დეტალური ინფორმაცია თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიის შესახებ და თან ერთვოდა ცხრილი საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების შესახებ. 11 იანვარს ცესკომ დაამტკიცა ოქმი დამატებითი ხმების გათვალისწინებით, თუმცა ოქმს ხელი ცესკოს 13 წევრიდან მხოლოდ შვიდმა მოაწერა.

10 იანვარს საერთო სახალხო მოძრაობამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათმა წევრებმა ნაგავსაყრელზე, თბილისის გარეუბანში, იპოვეს დალუქული კონვერტები, რომლებშიც დამატებით სიებში შეყვანილ ამომრჩეველთა ბიულეტენები იდო. 12 იანვარს საერთო სახალხო მოძრაობის წარმომადგენელმა აღნიშნული კონვერტები ცესკოს სხდომაზე წარადგინა, მაგრამ ცესკოს თავმჯდომარემ უარი განაცხადა მათ მიღებაზე იმ მიზეზით, რომ ბიულეტენი არის სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც მპოვნელმა უნდა გადასცეს პოლიციას, რათა მან სისხლის სამართლის საქმე აღძრას.

ცესკომ შედეგების ოქმთა გამოქვეყნება თავის ვებ-გვერდზე არჩევნების მეორე დღეს დილით ადრე დაიწყო. ეს პოზიტიური ნაბიჯი იყო, თუმცა შედეგების გამოქვეყნება შემდეგ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. 9 იანვარს, 3 482 საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმთა საფუძველზე, ცესკოს თავმჯდომარემ წინასწარი შედეგები გამოაცხადა.

ცესკომ განაცხადა, რომ საერთო აქტივობა 56.19 პროცენტს შეადგენდა. ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველთა მონაწილეობა საშუალოს გაცილებით აღემატებოდა. 23 საუბნო საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა 100 პროცენტის აქტივობა დააფიქსირა<sup>37</sup>, მაშინ როდესაც სხვა 205 კომისიამ აქტივობა 90 და 100 პროცენტს შორის აჩვენა. საუბნო საარჩევნო კომისიათა დიდმა ნაწილმა უჩვეულოდ

<sup>36</sup> საარჩევნო კოდექსის 129<sup>7</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>37</sup> ამ რიცხვში არ შედის 41 საარჩევნო უბანი, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიებმა შეცდომით შეიყვანეს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველები ოქმის იმ გრაფაში, რაც სიებში არსებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისთვის არის განკუთვნილი.

დიდი აქტივობა დააფიქსირა კენჭისყრის ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში. არჩევნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მონაცემების მიხედვით, 79 საარჩევნო უბანზე 500 ამომრჩეველზე მეტმა მისცა ხმა თითოეულ საარჩევნო უბანზე ამ ხნის განმავლობაში<sup>38</sup>. მაგალითად, მარნეულში #50 საარჩევნო უბანზე 1,576 ამომრჩევლიდან 866 ადამიანმა მისცა ხმა ბოლო სამი საათის განმავლობაში. საგარეჯოში #36 საარჩევნო უბანზე 1,371 ამომრჩევლიდან 771 ამომრჩეველმა მისცა ხმა კენჭისყრის ბოლო სამი საათის განმავლობაში. იგივე განმეორდა ახალქალაქში, სადაც #24 საარჩევნო უბანზე 1,830 ამომრჩევლიდან 879 ადამიანმა მისცა ხმა. ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებული ოქმებიდან მიღებული უფრო სრული ინფორმაციის მიხედვით, 17 იანვრისთვის ასეთი უბნების რაოდენობამ 45 შეადგინა.

13 იანვარს ცესკომ დაამტკიცა არჩევნების საბოლოო შედეგები. ოპოზიციის მიერ დანიშნული ცესკოს წევრები ამტკიცებდნენ, რომ იყო ბევრი დარღვევა და საჩივარი, რაც ცესკომ არ განიხილა და რომ შედეგები, შესაძლებელია, არ დამტკიცდეს. შვიდმა წევრმა საბოლოო შედეგების მიღებას დაუჭირა მხარი, ექვსმა ოპოზიციის მიერ დანიშნულმა წევრმა კი, წინააღმდეგ მისცა ხმა.

## XVI. არჩევნების დღის შემდგომი საჩივრები და განცხადებები

საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა დონეზე და სასამართლოები ბოლომდე და ადეკვატურად არ იხილავდნენ და არ იძიებდნენ ბევრ საჩივარს, რომლებიც ხმის მიცემასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ აღმოჩენილ დარღვევებს შეეხებოდა. ზოგიერთი საჩივარი შეიცავდა სერიოზულ ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი ჰქონდა ხმის მრავალჯერადად მიცემას, ბიულეტენების ჩაყრასა და ოქმების შესწორებას. საჩივრებში ბევრი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილად გამოცხადებას მოითხოვდნენ. ამ საჩივართა დიდი ნაწილი ოპოზიციურმა პარტიებმა და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიტანეს, მმართველი პარტიის მიერ კი, არც ერთი საჩივარი არ შესულა. აშკარად ჰქონდა ადგილი საჩივრების საფუძლიანად განხილვის თავიდან არიდებას. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მიიღო ინფორმაცია კერძო პირებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდამცავი ორგანოები, ადგილობრივი ადმინისტრაცია და სასამართლოები აბრკოლებდნენ დამკვირვებლებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს, რათა მათ შეეტანათ საჩივრები ან კიდევ, სთავაზობდნენ მათ, ისინი უკან გამოეტანათ.

საუბნო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით ათასი საჩივარი შევიდა, იყო შემთხვევები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებმა საჩივრები რეგისტრაციაში არ გაატარეს. საოლქო საარჩევნო კომისიებმა მიიღეს ასობით საჩივარი (მათაც უარი

<sup>38</sup> ამ ციფრში არ არის ასახული იმ საარჩევნო უბნების მონაცემები, რომლებმაც, ცესკოს ინფორმაციით, ახლომდებარე სპეციალურ საარჩევნო უბნებში მიცემული ხმები დაითვალეს.

განაცხადეს რამდენიმე მათგანის რეგისტრაციაში გატარებაზე), რომელთაგან თითქმის არც ერთი არ დაკმაყოფილდა მათში არსებული ტექნიკური შეცდომების არსებობის ან კიდევ, სამართლებრივი საფუძვლის არქონის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიები თვითნებურად იყენებდნენ დაშვების მოთხოვნებს და არ აძლევდნენ მოსარჩელებს საშუალებას გაესწორებინათ ტექნიკური პრობლემები, არ მიჰყვებოდნენ სათანადო პროცესს საჩივრების განხილვისას და ადეკვატურად არ იძიებდნენ საჩივრებს.

ცესკომი ცოტა საჩივარი შევიდა. რამდენიმე მათგანში საუბარი იყო სერიოზულ პრეტენზიებზე. ცესკომ არ დააკმაყოფილა ან დაუშვებლად გამოაცხადა საჩივრების უმეტესობა<sup>39</sup>. გარდა ამისა, ცესკოს საჩივრები სათანადოდ არც განუხილავს და არც საფუძვლიანი სამართლებრივი დასკვნა წარმოუდგენია. ცესკომ არასწორად თქვა უარი ზოგიერთი საჩივრის განხილვაზე, რომლებშიც განმცხადებლები მოითხოვდნენ ოქმების ბათილად გამოცხადებას, იმ საფუძვლით, რომ მხოლოდ სასამართლოებს ჰქონდათ ამის უფლება<sup>40</sup>. ამასთანავე, ცესკოს თავმჯდომარემ არასწორად განაცხადა, რომ ცესკოს არ გააჩნდა გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება. მან ერთხელ უარიც კი განაცხადა ოფიციალური ვიდეოჩანაწერის განხილვაზე, რომელშიც ნაჩვენებია იყო საუბნო საარჩევნო კომისიაში მომხდარი ინციდენტი, განაცხადა რა, რომ ცესკოს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება. თუმცა, 17 იანვარს ცესკომ განაცხადა, რომ დაინტერესებულ მხარეს საშუალება მიეცემა იხილოს საარჩევნო უბნებზე გაკეთებული კენჭისყრის დღის ვიდეოჩანაწერები წერილობითი განცხადების შემდეგ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჩივრის შეტანის ვადების ამოწურვის შემდეგ.

საქალაქო სასამართლოებში შევიდა 50-ზე მეტი საჩივარი, რომელთა უმეტესობა არ იქნა მიღებული მათში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამო. საერთო ჯამში თორმეტი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი ბათილად გამოცხადდა როგორც ცესკოს, ისე სასამართლოების მიერ, რის გამოც ამ საარჩევნო უბნების შედეგები გაუქმდა. OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ინფორმირებულია ბევრი სისხლის სამართლის საქმის თაობაზე, რომელიც არჩევნების დღეს მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით აღიძრა.

15 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოში ოთხი საჩივარი შევიდა, რომელი საჩივრებითაც ცესკოს შემაჯამებელი ოქმების ბათილად გამოცხადებას მოითხოვდნენ<sup>41</sup>. დამატებითი ერთი საჩივარი მიიღო თბილისის საქალაქო

<sup>39</sup> ხელისუფლების მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ექვსი საჩივარი დაკმაყოფილდა და შესაბამისი საარჩევნო უბნების შედეგები ცესკომ ბათილად გამოაცხადა.

<sup>40</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო საარჩევნო კომისია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ...“

<sup>41</sup> მომჩივნები იყვნენ ბატონი პატარკაციშვილის, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის, საერთო სახალხო მოძრაობისა და მასწავლებელთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფესიული კავშირის წარმომადგენლები.

სასამართლომ 16 იანვარს ახალი მემარჯვენეების პარტიის წარმომადგენლის დავით გამყრელიძის სახელით ვადის ამოწურვიდან ერთი დღის შემდეგ. ხუთი საჩივრიდან არც ერთი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. 18 იანვარს სამი კანდიდატის წარმომადგენელმა<sup>42</sup> სარჩელი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

არჩევნების დღის შემდეგ საქალაქო და რაიონული სასამართლოების 30-მდე გადაწყვეტილება გასაჩივრდა. ამ გადაწყვეტილებებით მოსარჩელეს უარი ეთქვა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების ოქმების გაბათილების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რის შემდეგაც ისინი თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში გასაჩივრდა. ეს საჩივრები ან არ იქნა მიღებული, ან არ დაკმაყოფილდა.

## XVII. რეკომენდაციები

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები წარმოდგენილია საქართველოს ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ გასათვალისწინებლად და ნიშნად მათი ძალისხმევის მხარდაჭერისა არჩევნები ეუთო-ს მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარონ. ამ რეკომენდაციათა გარკვეული ნაწილი OSCE/ODIHR-ის წინა დასკვნით ანგარიშებშიც იყო მოცემული, რომლეთა გათვალისწინება კვლავ არ მომხდარა. OSCE/ODIHR-ი მზადაა დაეხმაროს საქართველოს ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას საარჩევნო პროცესის კიდევ უფრო გაუმჯობესებაში.

### ა. სამართლებრივი ბაზა

1. გათვალისწინებული უნდა იქნეს OSCE/ODIHR-სა და ევროპის საბჭოს მიერ საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით შემოთავაზებული ნებისმიერი შეუსრულებელი რეკომენდაცია. შეიძლება შეიქმნას საპარლამენტო სამუშაო ჯგუფი, რომელიც ნებისმიერი შეუსაბამობის, ხარვეზისა თუ ორაზროვნების აღმოფხვრის მიზნით, დეტალურად შეისწავლის საარჩევნო კოდექსს და მას სხვა შესაბამის კანონებთან ჰარმონიზაციას უზრუნველყოფს.

### ბ. საარჩევნო ადმინისტრაცია

2. საარჩევნო კომისიის წევრები, განურჩევლად იმისა პარტიის მიერ არიან დანიშნული თუ არა, უნდა იყვნენ მიუკერძოებლები და მოქმედებდნენ კანონის შესაბამისად. საარჩევნო კოდექსი უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ

<sup>42</sup> კანდიდატები პატარკაციშვილი, გაჩეჩილაძე და ნათელაშვილი.

საარჩევნო კომისიებში მმართველ პოზიციებზე არ დომინირებდეს რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტია.

3. უზრუნველყოფილი უნდა იყოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ყოვლისმომცველი, ერთგვაროვანი და დროული ტრენინგების ჩატარება, რომლის დროსაც განსაკუთრებული აქცენტი ხმების დათვლისა და შეჯამების პროცედურებზე გაკეთდება. ზედა დონის კომისიის წევრებისთვის თანაბრად სასარგებლო იქნება დამატებითი ტრენინგი, რაც საჩივრებისა და განცხადებების განხილვის პროცედურებს მოიცავს.
4. ყურადღება უნდა მიექცეს საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციაში რეფორმების დაწყებას, განსაკუთრებით კი ცესკოში, რათა კომისიის წევრებისთვის ეფექტიანი და პროფესიონალური ადმინისტრაციული დახმარება უზრუნველყოფილი იყოს. იმ საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომელთა იურისდიქციაში ბევრი საუბნო საარჩევნო კომისია შედის, საჭიროების შემთხვევაში, მეტი თანამშრომლის აყვანის საშუალება უნდა ჰქონდეთ. ცესკომ უნდა მიიღოს ნათლად ჩამოყალიბებული მარეგულირებელი ნორმები, რომელიც ნორმებიც განსაზღვრავდა მის შიდა საქმიანობას, ცესკოს სხდომების გამართვის ჩათვლით.
5. ცესკო უნდა შეეცადოს გაზარდოს თავისი ვებ-გვერდის, საჯარო ინფორმაციის მიღების საშუალების, მოხმარება. ინფორმაცია, რომელიც ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსდება, ასევე უნდა მოიცავდეს არჩევნების დეტალურ შედეგებსა და კანდიდატთა ფინანსურ ანგარიშებს, ამისათვის ვებ-გვერდის შესაძლებლობები უნდა გაიზარდოს.

#### **გ. ამომრჩეველთა რეგისტრაცია**

6. უპირველეს ყოვლისა, ცესკომ ამომრჩეველთა ერთიან სიაში უნდა შეიტანოს არჩევნების დღეს დამატებით სიებში შეყვანილ ამომრჩეველთა მონაცემები. უფრო მეტიც, ცესკომ უნდა უზრუნველყოს ნათელი მექანიზმის არსებობა იმისათვის, რომ ამომრჩეველთა სიის შესწორების პროცესში ამომრჩეველთა მიერ მოთხოვნილი ცვლილებელი ერთიან სიაში იქნეს შეტანილი. დაბოლოს, ცესკომ უნდა აღმოფხვრას ყველა დარჩენილი შეუსაბამობა და უზუსტობა, ისეთები, როგორცაა დუბლიკატები და გარდაცვილი პირების არსებობა.

#### **დ. საარჩევნო კამპანია**

7. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს თანმიმდევრული შეტყობინებების მიწოდება ყველა სახელმწიფო და საჯარო თანამდებობის პირისთვის, პოლიციის ჩათვლით, რათა ყველასთვის გასაგები იყოს, რომ საარჩევნო პროცესებში ჩარევა, ზეწოლისა თუ დაშინების ნებისმიერი ფორმა მიუღებელია და არ მოხდება მასთან შეგუება. ნებისმიერი მსგავსი შემთხვევა, რომელიც გამოვლინდება, სრულყოფილად უნდა იქნეს გამოძიებული და ყველა პასუხისმგებელი პირი კანონის შესაბამისად დასჯილი.

8. ნათელად უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, სახელმწიფო და მისი საქმიანობები და, მეორე მხრივ, საარჩევნო კანდიდატები და მათი კამპანია. კამპანიის მიმდინარეობის პროცესში ეს განსხვავება ბოლომდე უნდა იქნეს დაცული, რათა ყველა კანდიდატს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები და უზრუნველყოფილი იყოს ეუთო-ს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტთან შესაბამისობა. საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები სახელმწიფო რესურსების გამოყენების აკრძალვასთან და საჯარო და პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ კამპანიის წარმოების რეგულირებასთან დაკავშირებით უნდა გახდეს გასაგები და განიმარტოს დეტალურად, რათა გამოირიცხოს ორაზროვანი ადგილები.
9. შესწორება უნდა შევიდეს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტში, რომელიც კრძალავს ხმის მოსყიდვას, რათა მოგვეცეს განმარტება იმასთან დაკავშირებით, თუ რა მეთოდები იკრძალება. ეს მოთხოვნა უნდა განიმარტოს და მისი იმპლემენტაცია ზედმიწევნით უნდა მოხდეს.
10. ყურადღება უნდა მიექცეს ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყების დღის დადგენას, რომელიც კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყება.
11. ცვლილება უნდა შევიდეს საარჩევნო კოდექსის იმ მუხლში, სადაც საუბარია საარჩევნო სუბიექტის ვალდებულების თაობაზე, წარუდგუნოს ცესკოს ინფორმაცია კამპანიის დაფინანსების თაობაზე თვეში ერთხელ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის გარემოება, რომ აღნიშნული ინფორმაციის წარდგენა და გამოქვეყნება არჩევნებამდე მოხდება.
12. საარჩევნო კოდექსი უნდა შეიცავდეს ნათელ ფორმულირებას იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იწყება და როდის მთავრდება დუმილის პერიოდი. გარკვევით უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174<sup>5</sup>-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს არჩევნების დღეს კამპანიის წარმოებისთვის, ეხება ყველა ტიპის თუ მხოლოდ გარკვეული ტიპის არჩევნებს.
13. სამართალდამცავ ორგანოებსა და პროკურორებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი არჩევნებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა და დანაშაულთა გამოძიებისა და განხილვის საკითხებში, რათა გამოძიების ობიექტურობა და მიუკერძოებელობა სათანადო დონეზე იყოს უზრუნველყოფილი.

## ე. მედია

14. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი კიდევ უფრო დამოუკიდებელი უნდა გახდეს. უნდა განვითარდეს მიუკერძოებელი სარედაქციო პრაქტიკა, განსაკუთრებით კი, ახალი ამბების გამოშვებებთან მიმართებით. სიუჟეტები

დაბალანსებული და ფაქტებზე დაფუძნებული უნდა იყოს, ხელისუფლების საქმიანობის გამუქების ჩათვლით.

15. სასურველია დაწესდეს ნათლად ჩამოყალიბებული საკანონმდებლო კრიტერიუმები იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად შეუძლიათ საარჩევნო სუბიექტებს უფასო საეთერო დროის მიღება, განსაკუთრებით კი, იმ კანდიდატებს, რომლებიც „არაკვალიფიციური“ სუბიექტების კატეგორიაში მოხვდებიან. უმჯობესია ეს საკითხი კანონით იყოს დარეგულირებული, ვიდრე ამის გადაწყვეტა მაუწყებელზე იყოს მინდობილი, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს უადგილო უარსა თუ არათანმიმდევრულობას.
16. მედიას არ უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა კანდიდატებისა თუ პარტიის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული არაკანონიერი განცხადებების გამო და მათი საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გადაცემისთვის. მხოლოდ კონკრეტული პირები უნდა იყვნენ პასუხისმგებელი ნებისმიერი მსგავსი განცხადების გაკეთებისთვის.
17. ცესკო სისტემატურად უნდა ამოწმებდეს იმას, თუ როგორ სრულდება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს მედიას წარადგინოს ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ, დათმობილი უფასო და ფასიანი საეთერო დროის რაოდენობის, კამპანიის მასალაბის ეთერში გაშვების/დაბეჭდვის განრიგისა და ტარიფის თაობაზე. ყურადღება უნდა მიექცეს ამ ინფორმაციის საჯაროობას. ფასიანი საარჩევნო დროისა და სივრცის ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს კომერციული რეკლამის ტარიფს.
18. ცესკომ, სავარაუდოდ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად, უნდა გადახედოს თავის მედიამონიტორინგის მეთოდოლოგიას, რათა კანდიდატთა და პოლიტიკურ პარტიათა ახალი ამბების გამომშვებებში გამუქებისას ყველა უსამართლო და უპირატესი მდგომარეობა გამოავლინოს, და, საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეთ ეფექტიანი და დაუყოვნებელი რეაგირების საშუალება.

### **ვ. ხმის მიცემა, ხმების დათვლა და შედეგების გამოცხადება**

19. არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით ცესკომ უნდა შეიმუშაოს ნათელი, თანდათანობითი წესები და ამის თაობაზე აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიებს არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე. ცესკომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება თავიდან უნდა აიცილოს.
20. თუ მაინც მოხდება არჩევნების დღეს რეგისტრაცია, დღეისთვის არსებული უსარგებლო და რთული პროცედურები, რომლებიც დამატებით სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა ბიულეტენების დათვლისთვის გამოიყენება, უნდა

გამარტივდეს. ბიულეტენტა ბათილობის დასადგენად გამოყენებული კრიტერიუმები ერთნაირი უნდა იყოს როგორც ჩვეულებრივი, ისე დამატებითი ბიულეტენტებისთვის.

21. კანონის მოთხოვნას ცესკოს მიერ შედეგების ოქმთა საზოგადოებისთვის თვალსაჩინო ადგილას გამოკვრის თაობაზე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. კომისიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ოქმები გარკვეული ხნის განმავლობაში არის გამოკრული. საუბნო საარჩევნო კომისიებს შედეგების ოქმთა ასლები საკმარისი რაოდენობით უნდა მიეწოდოთ, რათა კომისიებმა შეძლონ მათი გამოკვრა და დამკვირვებლებისა და წარმომადგენლებისთვის დარიგება.
22. საარჩევნო კომისიამ ზედმიწევნით უნდა მისდიოს მარკირების პროცედურის როგორც ორმაგი ხმის მიცემისგან დაცვის საშუალების გამოყენებას, ისე ამომრჩეველთა თითების შემოწმებას მარკირების კვალის აღმოჩენის მიზნით და მარკირების გამოყენებას ბიულეტენტის გაცემისას.

#### **ზ. საჩივრები და განცხადებები**

23. უნდა გადაიხედოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლი, რათა საარჩევნო უფლებების დაცვის მიზნით მასში მოცემული იყოს პირდაპირი, გასაგები და თანმიმდევრული პროცედურები. კანონში ნათლად უნდა იყოს გამიჯნული სასამართლოებისა და საარჩევნო სტრუქტურათა იურისდიქცია და გარკვევით უნდა კრძალავდეს ორივე სტრუქტურაში საჩივრების ერთდროულ შეტანას. ამომრჩეველებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გარკვევით უნდა მიეცეთ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა სახის საჩივრის შეტანის უფლება. ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე მითითება საარჩევნო კოდექსში თავიდან უნდა იქნეს აცილებული.
24. საარჩევნო კოდექსში გარკვევით უნდა იყოს ნათქვამი იმის თაობაზე, რომ ცესკო ვალდებულია საჩივრები და განცხადებები ღია სხდომაზე განიხილოს, მოსარჩელეს/განმცხადებელს წერილობით აცნობოს გადაწყვეტილების თაობაზე, რომელშიც გადაწყვეტილება სამართლებრივად იქნება დასაბუთებული და მოსარჩელეს/განმცხადებელს აცნობებს მისი უფლების თაობაზე გაასაჩივროს გადაწყვეტილება. მათში ასევე მითითებული უნდა იყოს გასაჩივრების ვადებიც. ცესკომ შესწორება უნდა შეიტანოს თავის რეგლამენტში, რომლითაც განისაზღვრება საჩივრებისა და განცხადებების განხილვის დეტალური პროცედურები მათი შესვლიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე.
25. საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა იყოს უფრო პრაქტიული სერიოზული ბრალდებების გამოძიების კუთხით. ცესკოს უნდა ჰყავდეს ადეკვატური რაოდენობის თანამშრომელი სათანადო ინფორმაციისა და ფაქტების შემოწმებისთვის. კომისიის ექსპერტები სამართლებრივ საკითხებში უნდა გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს ობიექტურად და კანონის შესაბამისად.

26. ცესკომ გარკვევით უნდა განსაზღვროს, თუ რა შემთხვევაში დაიშვება საჩივრები და განცხადებები საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში. მოსარჩელეს/განმცხადებელს წერილობით უნდა ეცნობოს გადაწყვეტილება მისი პეტიციის დაშვებადობის ან დაუშვებლობის თაობაზე, და ახსნილი უნდა იყოს მიზეზები. აღნიშნულმა სტრუქტურებმა არ უნდა განაცხადონ უარი საჩივრების მიღებაზე წმინდა ტექნიკური საფუძვლის გამო და მოსარჩელეს/განმცხადებელს ტექნიკური შეცდომების გასწორების საშუალება უნდა მისცენ.
27. არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ცესკომ და სააპელაციო სასამართლოებმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან თანამშრომლობით, ერთობლივან უნდა შეიმუშაონ ინსტრუქციები და სახელმძღვანელო პრინციპები საარჩევნო დავებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების გარშემო. აღნიშნულმა დაწესებულებებმა გარკვევით უნდა განმარტონ როგორც თავიანთი, ისე ქვედა ინსტანციის სასამართლოებისა და საარჩევნო კომისიების კომპეტენციის სფეროები.
28. საარჩევნო კოდექსში ნათლად უნდა განისაზღვროს ცესკოსა და ქვედა ინსტანციის საარჩევნო კომისიების უფლებამოსილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გასცეს სანქციები არჩევნებთან დაკავშირებული კანონების დარღვევის შემთხვევაში, ასევე მათი უფლებამოსილება შეადგინოს ოქმი სასამართლოებისთვის, როგორც ეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლში არის მოცემული.
29. უნდა გაგრძელდეს სასამართლოს გაძლიერებისკენ და მისი სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისკენ მიმართული მცდელობა. არჩევნებთან დაკავშირებული საქმეების სასამართლოში შეტანის სახელმწიფო ბაჟი მინიმუმამდე უნდა დავიდეს, რათა ამ უკანასკნელმა არ შეუშალოს ხელი დაინტერესებულ მხარეთა მიერ საჩივრებისა და განცხადებების შეტანას.
30. საარჩევნო კოდექსში უნდა იყოს მოცემული, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები განიხილავენ საარჩევნო კომისიის სააღრიცხვო წიგნში გატარებულ ყველა საჩივარს და, შესაბამისად, გამოაქვთ გადაწყვეტილებები. კანონში ასევე უნდა განიმარტოს იმის თაობაზე, არიან თუ არა საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებული, გადაუგზავნონ მათ მიერ საჩივრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები ცესკოს დასამტკიცებლად, თუ მხოლოდ ისინი გადაუგზავნონ, რომლებზეც დარღვევები დადგინდა. უმჯობესია, პირველის მოთხოვნა.
31. საარჩევნო უბნებზე ვიდეოკამერების დაყენების აუცილებლობა ხმის მიცემის ფარულობის თაობაზე გამოთქმული შეზღოვების გამო უნდა გადაიხედოს. ნათელი უნდა იყოს, თუ რა მიზანს ემსახურება მათი გამოყენება. მანამ, სანამ ვიდეოკამერები გამოიყენება, მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი კანონი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოხდება ვიდეჩანაწერის გამოყენება და

როგორც იქნება მათი ხელმისაწვდომობა. ასევე უნდა მოხდეს მათი, როგორც სამხილის, გამოყენება საჩივრებისა და განცხადებების განხილვებისას.

32. საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა არჩევნების საბოლოო შედეგების ბათილობასთან დაკავშირებით ჰარმონიზაციაში უნდა იქნეს მოყვანილი საჩივრებისა და განცხადებების შეტანის მოთხოვნასთან, რათა აპელაციისთვის და სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის საჭირო ყველა ვადა შედეგების დამტკიცებამდე არ ამოიწუროს.

#### **თ. ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა**

33. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ეროვნული უმცირესობით დასახლებულ ადგილებში საარჩევნო ადმინისტრაციის მომზადებას მათთვის სასურველ ენაზე. არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია და მასალები უნდა მიეწოდოს არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე, რათა მოხერხდეს მათი გამოყენება ტრენინგების მსვლელობისას.

34. უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში საარჩევნო მასალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს როგორც ქართულ, ისე უმცირესობათა ენაზე.

#### **ი. ადგილობრივი დამკვირვებლები**

35. პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ თავიანთი იურისტებისთვის დამატებითი ტრენინგების ჩატარებაზე ისეთ საკითხებში, როგორიცაა: არჩევნებთან დაკავშირებული კანონი, დარღვევათა გამოძიება და სამხილთა შეგროვება, საჩივართა შეტანის პროცედურები, ასევე ეფექტიანი საჩივრების შედგენა და წარდგენა.

დანართი: არჩევნების ოფიციალური შედეგები

<b>ჯამური რიცხვები</b>	
ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა	3,527,964
ამომრჩეველთა ის რაოდენობა, რომლებმაც ხმა მისცეს	1,982,318
ბათილი ბიულეტენები	33,129

ბიულეტინთა რაოდენობა	სახელი	ხმათა რაოდენობა	პროცენტი
1	ლევან გაჩეჩილაძე	509,234	25.69%
2	არკადი პატარკაციშვილი	140,826	7.10%
3	დავით გამყრელიძე	79,747	4.02%
4	შალვა ნათელაშვილი	128,589	6.49%
5	მიხეილ სააკაშვილი	1,060,042	53.47%
6	გიორგი მათაბრაშვილი	15,249	0.77%
7	ირინა სარიშვილი-ჭანტურია	3,242	0.16%

<b>ბათილი და შესწორებული საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმები</b>	
შესწორებული საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმები	საოლქო საარჩევნო კომისია #14 (დედოფლისწყარო), საუბნო საარჩევნო კომისია #6 საოლქო საარჩევნო კომისია #22 (მარნეული), საუბნო საარჩევნო კომისია #2 საოლქო საარჩევნო კომისია #79 (ბათუმი), საუბნო საარჩევნო კომისია #55 საოლქო საარჩევნო კომისია #81 (ქობულეთი), საუბნო საარჩევნო კომისია #4 საოლქო საარჩევნო კომისია #83 (ხელვაჩაური), საუბნო საარჩევნო კომისია #14 საოლქო საარჩევნო კომისია #83 (ხელვაჩაური), საუბნო საარჩევნო კომისია #37
ცესკოს მიერ ბათილად ცნობილი საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები	საოლქო საარჩევნო კომისია #3 (საბურთალო), საუბნო საარჩევნო კომისია #1 საოლქო საარჩევნო კომისია #17 (თელავი), საუბნო საარჩევნო კომისია #1 საოლქო საარჩევნო კომისია #25 (წალკა), საუბნო საარჩევნო კომისია #22 საოლქო საარჩევნო კომისია #40 (ახალქალაქი), საუბნო საარჩევნო კომისია #4 საოლქო საარჩევნო კომისია #47 (მესტია), საუბნო საარჩევნო კომისია #38

<i>სასამართლოს მიერ ბათილად გამოცხადებული საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები</i>	საოლქო საარჩევნო კომისია #23 (ბოლნისი), საუბნო საარჩევნო კომისია #58 საოლქო საარჩევნო კომისია #32 (გორი), საუბნო საარჩევნო კომისიები #7, #12 და #81 საოლქო საარჩევნო კომისია #48 (ხარაგაული), საუბნო საარჩევნო კომისია #10 საოლქო საარჩევნო კომისია #51 (ზესტაფონი), საუბნო საარჩევნო კომისია #13 საოლქო საარჩევნო კომისია #83 (ხელვაჩაური), საუბნო საარჩევნო კომისია #5
--	---

წყარო: ცესკოს ბევ-გვერდი (<http://www.cec.gov.ge>)

## **ინფორმაცია OSCE/ODIHR-ის შესახებ**

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) არის ეუთო-ს მთავარი ინსტიტუტი, რომლის დანიშნულებაცაა დაეხმაროს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მათ უზრუნველყონ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრული პატივისცემა, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა, დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერა და (...) დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა, გაძლიერება და დაცვა, ისევე როგორც საზოგადოებაში ტოლერანტობის გავრცელება“. (ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი, 1992წ.). იგი მოიხსენიება როგორც ეუთო-ს ადამიანური განზომილება.

OSCE/ODIHR-ი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთი) არის განთავსებული, 1990 წლის პარიზის სამიტზე შეიქმნა, როგორც თავისუფალი არჩევნების ოფისი. მან მუშაობა 1991 წლის მაისში დაიწყო. ერთი წლის შემდეგ, ოფისის სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახულიყო ვრცელი მანდატი - ადამიანის უფლებები და დემოკრატიზაცია. დღეს მას 130-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს.

**არჩევნებზე დაკვირვების** სფეროში OSCE/ODIHR-ი ევროპის წამყვანი ორგანიზაციაა. ყოველწლიურად ის კოორდინაციასა და ორგანიზებას უწევს ათასობით დამკვირვებლის განთავსებას, რათა შეაფასოს, თუ რამდენად შეესაბამება ეუთო-ს სივრცეში გამართული არჩევნები ეუთო-ს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ კანონმდებლობას. მისი უნიკალური მეთოდოლოგია საარჩევნო პროცესის ღრმად შესწავლის საშუალებას იძლევა. დახმარების პროექტების მეშვეობით, OSCE/ODIHR-ი წევრ სახელმწიფოებს მათი საარჩევნო სისტემის გაუმჯობესებაში ეხმარება.

**დემოკრატიზაციის** სფეროში ოფისის საქმიანობა მოიცავს: კანონის უზენაესობას, საკანონმდებლო დახმარებას, დემოკრატიულ მმართველობას, მიგრაციას, გადაადგილების თავისუფლებასა და გენდერულ თანასწორობას. OSCE/ODIHR-ი ყოველწლიურად ახორციელებს მიზნობრივი დახმარების რამდენიმე პროგრამას, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული სტრუქტურების განვითარებას.

OSCE/ODIHR-ი ასევე ეხმარება ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, რათა მათ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა წახალისება და დაცვა უზრუნველყონ ეუთო-ს ადამიანური განზომილების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად. ეს მიიღწევა სხვადასხვა პარტნიორებთან მუშაობის შედეგად თანამშრომლობის განვითარებისა და თემატურ საკითხებზე გამოცდილების გაზიარების მიზნით ისეთ საკითხებში, როგორცაა ადამიანის უფლებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას, ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესება ტრეფიკინგის მსხვერპლთან მიმართებით, განათლება და ტრენინგი ადამიანის უფლებათა სფეროში, ადამიანის უფლებათა მონიტორინგი და ანგარიში, ასევე ქალთა უფლებები და უსაფრთხოება.

**ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის** საკითხებთან მიმართებით OSCE/ODIHR-ი დახმარებას უწევს წევრ სახელმწიფოებს, რათა მათ გააძლიერონ

თავიანთი რეაგირების მექანიზმები სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის წინააღმდეგ და რასიზმის გამოვლინებების, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის სხვა ფორმების წინააღმდეგ. ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროში OSCE/ODIHR-ის საქმიანობა შემდეგ სფეროებზეა კონცენტრირებული: კანონმდებლობა, ტრენინგი სამართალდამცავ სფეროში; მონიტორინგი, ანგარიში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება რეაგირება სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისა და შემთხვევების შესახებ. ასევე საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელთა მიზანია ტოლერანტობის ხელშეწყობა, პატივისცემა და ურთიერთგაგება.

OSCE/ODIHR-ი წევრ სახელმწიფოებს რჩევით ეხმარება რომასა და სინტისთან დაკავშირებული პოლიტიკის გატარებაში. ის ხელს უწყობს რომასა და სინტის თემებში შესაძლებლობების გაზრდასა და კავშირების განვითარებას და მხარს უჭერს მათი წარმომადგენლების მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებში.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ყველა საქმიანობა ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებთან, ეუთო-ს ორგანოებთან და პერიფერიულ ოფისებთან, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით ხორციელდება.

დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ვებ-გვერდზე ([www.osce.org/odihr](http://www.osce.org/odihr)).